619
1957/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 2 თებერვალი 1957



ფოტოეტიუდი გ. თიკანაძისა

თხილამურებით მთებში.

გარეკანის პირველ გვერდზე: რუსთავში.

ჩანართ გვერდებზე: მხატვარ ალ. ბანძელაძის ჩანახატები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 2 (67) თებერვალი 1957 წელი

გამოცემის VI წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



# საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტების ყრილობა



ა/წლის 22-23 თებერვალს თბილისში, საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს სხდომების დარბაზში, მიმდინარეობდა საქართველოს მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ყრილობა.

ყრილობაზე თავი მოიყარა რვაასზე მეტმა მუშა და სოფლის კორესპონდენტმა. მათ შორის იყვნენ რუსთავის მეტალურგები, თბილისისა და ქუთაისის მანქანათმშენებლები, ჭიათურელი მაღაროელები, გორელი ფეიქრები, კოლმეურნეები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან, აგრეთვე, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგები.

მოხსენება მუშა და სოფლის კორესპონდენტების მოძრაობის ამოცანებზე გააკეთა საქ. კ. პ. ც. კ-ს მდივანმა ამხ. დ. ვ. მჭედლიშვილმა.

ყრილობის საბოლოო სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. ც. კ-ს პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

ყრილობა ჩატარდა დიდი აღმავლობით და იგი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ფოტოზე — ზემოთ: სხდომის დარბაზში, ქვემოთ — ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საჯარო ბიბლიოთეკა



გ. გელაშვილი სადარაჯოზე.

# სამშობლოს საზღვრებზე

თოვლით შექირხლულ ტყის პირას მიქრის მანქანა. უახლოვდება საზღვარს. აი უკვე გაიელვა პლაკატმა, იგი გვაუწყებს, რომ აქედან იწყება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი. აგერ უკანასკნელი მოსახვევიც და ჩვენ ნ — საგუშაგოზე ვართ.

სასაზღვრო სამსახურს თავისი სპეციფიკა გააჩნია. ადამიანები რამდენიმე წლის განმავლობაში მსახურობენ ერთ და იმავე საგუშაგოზე, რათა საფუძვლიანად შეისწავლონ თავიანთი უბანი. საგუშაგოს მეთაურები პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ამჭიდროებენ ჯარისკაცებსა და სერჟანტებს ერთ მთლიან მეგობრულ სამხედრო კოლექტივად, რომელსაც უნარი უნდა შესწევდეს შეასრულოს ყოველგვარი საბრძოლო ამოცანა.

გარეთ დღეა, მაგრამ ოთახის ფანჯრები ფარდებითაა ჩაბნელებული. ეს საგუშაგოს მორიგე ზრუნავს თავის ამხანაგებზე, რომლებიც საზღვრიდან დაბრუნდნენ და ახლა ისვენებენ. სპეციალურად გამოყოფილ ადგილას რამდენიმე კაცი იარაღს წმენდს.

უცბად გაისმის მორიგის მჭექარე ხმა:

— საგუშაგო, იარაღი!

შენობის კიბეებსა და დერეფნებში ატყდა ჯარისკაცთა ჩექმების ხმაური. ჯარისკაცები ჩქარობენ, ჩვეული მოძრაობით იცვამენ მაზარას, იხურავენ ყურებიან ქუდს, იკეთებენ საქურველს, იღებენ კარაბინს ან ავტომატს. ფრთხილი და მამაცი მესაზღვრენი ეწყობიან ეზოში.

საგუშაგოს უფროსი ოფიცერი ნიკოლოზ სიმონის ძე ლებედევი დაჰყურებს საათის ისარს. შედეგი არაა ცუდი, განგაშის ხმაზე მთელი საგუშაგო ორი წუთით ადრე დაეწყო, ვიდრე ეს დადგენილია. მაგრამ ბრძოლისათვის კიდევ უფრო სწრაფად უნდა მოემზადონ და ოფიცერიც სწორედ ამ ამოცანას უყენებს ჯარისკაცებს.

მართლაც, ბრძანება „იარაღი!“ ყოველთვის როდი გაისმის სწავლების მიზნით. საგუშაგო არა ერთხელ დამდგარა ფეხზე, რათა დახმარებოდა თავის ამხანაგებს, როცა ისინი საზღვრის დამრღვევებს სდევნიდნენ.

...ღამე იწურებოდა და მასთან ერთად მთავრდებოდა რიგითი ჯარისკაცების — გურამ მირზანაშვილისა და ვლადიმერ ბაბენკოს მორიგეობაც. მათ ელოდათ ცვლა, ცხელი ჩაი თბილ ოთახში და დასვენება. ისინი უკვე აპირებდნენ ახალი ცვლის შესახვედრ ადგილზე წასვლას, როცა მირზანაშვილმა ბინდბუნდში შეამჩნია ადამიანის ფიგურა. მესაზღვრენი მიწას გაეკრნენ. უცნობი მეტად ფრთხილად მოიპარებოდა. მაგრამ მას ისე მტკიცედ აელო მიმართულება, რომ ჯარისკაცები მიხვდნენ, ეს მტერი იყო. მირზანაშვილმა, როგორც უფროსმა, ანიშნა ბაბენკოს საზღვრისაკენ უკანდასახევი გზა მოეჭრა მტრისთვის. როცა ბაბენკო გაცოცდა, მირზანაშვილთან შეუმჩნევლად მივიდა კიდევ ორი მესაზღვრე — ვიქტორ ტომილინი და ალექსანდრე ლობანოვი ძაღლით „ისკრათი“. ჯარისკაცები ისე განლაგდნენ, რომ ყოველმხრივ გარშემორტყმოდნენ მტერს. მიწასგაკრული მტერი ისევ მოიწევდა წინ და არ იცოდა, რომ მას უთვალთვალებდნენ მესაზღვრეები.

უცბად მის წინ თითქოს მიწიდან ამოძვრა მირზანაშვილი:

— სდექ! ხელები მაღლა!

უცნობი საგუშაგოზე მოიყვანეს. მან აღიარა, რამდენიმე საათის წინ საზღვარი გადმოვლახეო, თან აღმოაჩნდა ყალბი საბუთები.

ამ საგუშაგოს მრავალმა მესაზღვრემ სამსახურის განმავლობაში საზღვრის რამდენიმე დამრღვევი დააკავა. მაგალითად, ორი დააკავა ალექსი ნისტორმა, რომელიც დაჯილდოებულია „წარჩინებული მესაზღვრის“ სამკერდე ნიშნით. ერთი დამრღვევი დააკავა რიგითი ჯარისკაცმა გივი გელაშვილმა, რომლის ბიოგრაფია ისევე უბრალოა და ნათელი, როგორც ყოველი საბჭოთა ჭაბუკის ბიოგრაფია: სწავლობდა ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში, შემდეგ საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში, მუშაობდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში.

გივი გელაშვილი გავიცანით სასაზღვრო სვეტთან, სადაც ის იდგა ივანე უსტენკოსთან ერთად. აქ, ბუნებრივია, სასაუბრო ადგილი როდი იყო, მაგრამ ვერც მერე მოვახერხეთ საუბარი — კომკავშირელი მესაზღვრე ისვენებდა, შემდეგ კი კვლავ წავიდა საზღვარზე. ჩვენი საუბარი მხოლოდ ღამით შედგა. გარეთ ღმუოდა ქარი, ფანჯრებზე გრიალი გაქონდა კოკისპირულ წვიმას. საგუშაგოს უფროსის კაბინეტში შემოვიდა თავით ფეხებამდე გაწუწული ორი მებრძოლი. ერთმა მათგანმა — გივი გელაშვილმა მოახსენა უფროსს საზღვრიდან დაბრუნება.

რამდენიმე ხნის შემდეგ გელაშვილი ჩვენს წინ იჯდა.

— როცა მითხრეს — მესაზღვრე იქნებიო, სიამაყე ვიგრძენი, რადგან ვიცოდი, სამშობლო საზღვრების დაცვა საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეა. კარგად მახსოვს, თუ როგორ გავედი პირველად ღამით საზღვარზე: ბნელა, ყოველი სვეტი საზღვრის დამრღვევი მგონია. ხელი ჩემდა უნებურად ავტომატის საკეტს ჩაციებია... ახლა, რასაკვირველია, ასე როდია. და მაინც, ყოველთვის, როცა მივდივარ, სულ ჩემს პასუხისმგებლობაზე ვფიქრობ. ვფიქრობ იმაზე, რომ მილიონობით ადამიანებმა თავიანთი სიმშვიდე მე მანდვეს, ამიტომ თვალი უფრო ფხიზლობს და მაჯაშიც ისეთი ძალ-ღონე მემატება, რომ აღარაფრის მეშინია.

ამას წინათ მესაზღვრე გელაშვილი დააჯილდოეს „წარჩინებული მსროლელის“ ნიშნით.

ხალხისადმი პასუხისმგებლობის ის

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარზე ალექსეი ნისტორი და რიგითი მებრძოლი ვასილი ტიშკინი ძაღლით „ისკრათი“.





მესაზღვრეთა ჯგუფი მისდევს საზღვრის დამრღვევის ნაკვალევს.

გრძნობა, რომელზეც ლაპარაკობდა გელაშვილი, მოდგამს ყოველ მესაზღვრეს, იქნება იგი რიგითი, სერჟანტი, თუ ოფიცერი. ოფიცერი მიხეილ ტერეხოვი თავის სურვილით მოვიდა ჯერ მესაზღვრეთა სასწავლებელში, შემდეგ კი საზღვარზე.



ოფიცერი ნ. ს. ლებედევი აძლევს საბრძოლო დავალებას რიგითი მებრძოლებს ტ. ივანოვსა და ა. კიკს.

თხუთმეტ წელიწადზე მეტი დაჰყო საგუშაგოზე კომუნისტმა ნიკოლოზ სიმონის ძე ლებედევმა. ის დაჯილდოებულია მედლით „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“.

დიდი ხანი არაა, რაც საზღვარზე მსახურობს უმცროსი სერჟანტი ალექსანდრე ლობანოვი, მაგრამ ნაცად მესაზღვრეებთან ის დაანათესავა თავისი საქმისადმი უდიდესმა სიყვარულმა, ხალხისადმი პასუხისმგებლობის გრძნობამ.

კომკავშირელი ალექსანდრე ლობანოვი ძაღლების მწვრთნელი ინსტრუქტორია. მან გვიჩვენა ძაღლების ოსტატობა. მშვენიერი „ისკრა“, ასე უნდობლად რომ უცქერდა მისთვის უცხო პირებს, ემორჩილებოდა ხმადაბალ ბრძანებას ან სულ ჩუმ მინიშნებას. მესაზღვრე ძაღლს შეუძლია შეასრულოს ათობით ბრძანება, შეუძლია ერთი ნახტომით ძირს დასცეს საზღვრის დამრღვევი და მთელი დღეობით უდარაჯოს მას. მისთვის ცნობილია საგუშაგოსკენ მიმავალი ათობით ბილიკი.

მაგრამ საგუშაგოს ცხოვრებაში არის კიდევ ერთი მომენტი. ესაა კავშირი ადგილობრივ მოსახლეობასთან. კოლმეურნეთა სახლებში ხშირი სტუმრები არიან მესაზღვრეები — გულთბილად ხვდებიან გლეხები ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.

საზღვრის დამრღვევთა დაჭერაში მესაზღვრეებისადმი აქტიური დახმარებისათვის აგროტექნიკოსი მიხეილ წულუკიძე დაჯილდოებულია მედლით „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“, ხოლო მისი ცოლი — ვერცხლის სერვიზით.

თანაბრად და შეთანხმებულად მიმდინარეობს საგუშაგოს ცხოვრება. აქ თავისებური შინაგანაწესი აქვთ. ყოველთვის ვიღაც ისვენებს, ვიღაც იარაღს წმენდს და ემზადება საზღვრისაკენ წასასვლელად. თითქმის არასოდეს არ ქრება ცეცხლი სამზარეულოს ქურაში. ყველას თავისი დრო აქვს გამოყოფილი. ფოსტაც განსაზღვრულ დროზე მოდის, მას ათობით წერილი მოაქვს. იწერებიან არა მარტო მეგობრები და ნათესავები, მესაზღვრეებს ხშირად სალამს უთვლიან და მოიკითხავენ ყოფილი თანამებრძოლები.

მამაცი მესაზღვრენი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მთელს სამშობლოსთან. ახლა, მაგალითად, ყველა მესაზღვრეს აღელვებს, თუ როგორ სწავლობენ ალტაის მხარის სადგურ მე-2. ალტაისკაიას მოსწავლენი.. მათ უგზავნიან საჩუქრებს, წერილებს, უთვლიან კეთილ სურვილებს...

მანქანა მარდად მიქრის გზაზე. ელვარებენ და კაშკაში გააქვთ ელნათურებს საკოლმეურნეო სოფლებში. იქ მშვიდად შრომობენ საბჭოთა ადამიანები, კომუნიზმის მშენებლები. შორეულ საგუშაგოებზე კი საზღვრებზე სადარაჯოდ ემზადებიან მამაცი მესაზღვრენი. ოფიცრები ყურადღებით შეჰყურებენ მებრძოლთა მკაცრ სახეებს და იძლევიან საბრძოლო ბრძანებას:

— თქვენ ნაბრძანები გაქვთ გახვიდეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საზღვრის დასაცავად!..

ე. რაზმაძე.

თავისუფალ საათებში.




ფოტო ნ. ანასტასიევისა

გიორგი შატბერაშვილი

## ყვავილის მიწა, სამოვრის მიწა!

### ყვავილის მიწა

ყვავილის მიწა!
სამოვრის მიწა!
ისევ აგრგვინდა ზეცაში მეხი
და რუსთაველზე გაუბედავად,
პირველმა იამ შემოდგა ფეხი.

სამოვრის მიწა!
ყვავილის მიწა!
ჰა, იყიდება, როგორც მწვანილი,
ოქროყანის და სამადლოს მიწა,
ძველი ხურჯინით ჩამოტანილი!

ეს იყო წინათ...
ჩვენს ფანჯარაზე

რუხი ქოთნები მწკრივად ერიგა,
და ყოველ მაისს ყვავილის მიწა
ჩვენთან მოჰქონდა წყნეთელ ბერიკაცს.

დედას სარკმელში ქოთნები ჰქონდა,
დეზერტირკაზე ნაყიდი, ალბათ.
სარკმელში მუდამ ნიავი ჰქროდა,
სარკმელში წითლად ჰყვაოდა ბალბა.

დედას სარკმელში ქოთნები ედგა,
დაბალ სარკმელში, სულ ქუჩის პირას.
მესმოდა მწვანე კვირტების ფეთქვა,
თან ვჩურჩულებდი ლექსებს ზეპირად...

ეს იყო ჩემი არაგვის ქუჩა...
მაშინ არაგვი არც კი მენახა,
თუმც ვოცნებობდი მე მაინც ურჩად,
თვით ოკეანე გადამელახა!

ყოველ გაზაფხულს სიფრთხილით დედა
მიწას უცვლიდა ყვავილის ფესვებს,
სარკმელზე ქოთნებს გაამზევებდა...
ყვავილის მიწა მოშივდათ ლექსებს!

ყვავილის მიწა ოცნებად იქცა,
ლექსებს მოშივდათ სურნელი მიწის,
ოქროყანის და სამადლოს მიწამ
ყვავილიანი ლექსები იცის!

მარილიანი ლექსები იცის...
ყვავილის მიწა მოშივდათ ლექსებს,
ყოველ გაზაფხულს აყალო მიწის
შემოყრა უნდა ლექსების ფესვებს!

ოქროყანის და სამადლოს მიწამ
ყვავილიანი ლექსები იცის,
მარილიანი ლექსები იცის,
ჯავარიანი ლექსები იცის!

### სამოვრის მიწა

ყვავილის მიწა!
სამოვრის მიწა!

დედას უყვარდა სამოვრის წმენდა
და სარკესავით გაკრიალება...
სამოვრის თუხთუხს წყნარად უსმენდა,
თან ჩაის ჭურჭელს აწკრიალებდა.

ყვითელ სარკეში ჩინელებსავით
ვჩანდით,
გაზიდულ წარბიანები,
ქაფქაფა ჩაის წყალსავით ვსვამდით,
და ნუშის თვალებს ვაბრიალებდით.

სამოვრის მიწა!
სამოვრის მიწა!

ჩემი ფანჯრის წინ ისევ გაისმის
და ეს ძახილი გულს სიამოვნებს...
ოქროყანის და სამადლოს მიწით
აღარ ფერავენ ახლა სამოვრებს!

ყვავილის მიწა!
სამოვრის მიწა!
ისევ აგრგვინდა ზეცაში მეხი,
კვლავ გაზაფხულდა და რუსთაველზე
პირველმა იამ შემოდგა ფეხი!

* * *

შენი ქება მქონია
აღებული იჯრითა...
მაგრამ შენი თვალები
მე სიმღერას მიშლიდა,
საიდუმლო სალოცავს
ვჩურჩულებდი შიშითა.

შენი თეთრი კბილები
მიწყობილი მიჯრითა...
სანამ გული მერჩოდა,
სანამ თვალი მიჭრიდა,
შენი, შენი მშვენება
მე სიყვარულს მიშლიდა,
საიდუმლო სალოცავს
შეგყურებდი შიშითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# [illegible]



ტრაქტორისტი მ. ქელეხსაევი სახელოსნოში.

ფოტო გ. თიკანაძისა

დიდი ხანი არ არის რაც ილია იკოევი სტალინირის მტს-ში მუშაობს. მან გასულ წელს დაამთავრა პარტიული სკოლა თბილისში და აქ გამოგზავნეს სამუშაოდ.

— ახლა სოფელ ძარში ვიყავი, აი იქით — ამბობს ილია და დათოვლილი მთებისკენ იშვერს ხელს — პარტიული კრება ჩავატარე. ვისაუბრეთ, ვიკამათეთ მომავალ საქმეებზე. სამანქანო გზა გადაკეტილია, ფეხით მომიხდა ჩამოსვლა, იმიტომ შემაგვიანდა.

მტს-ის უზარმაზარ ეზოში კაცის ჭაჭანება არ არის. მხოლოდ რამდენიმე ძველი, მწყობრიდან გამოსული ტრაქტორი დგას (ალბათ, ფარდულში მათთვის ადგილი აღარ დარჩა, იქაურობა უფრო „ჯანმრთელმა და ახალგაზრდა“ მანქანებმა დაიკავა).

გაკვლეულ გზას გავყევით. ეზო გადავჭერით და გრძელი სახელოსნოს დიდი, წითელი კარები ჭრიალით შევაღეთ. ჩვენი შესვლა არავის შეუმჩნევია. ლითონისა და ადამიანების ხმაური აყრუებდა იქაურობას.

დაშლილ მანქანებთან ფუსფუსებდნენ მექანიზატორები. თითქოს გვერიდებოდა კიდეც მათი შეწუხება, გაცდენა. ეს პერიოდი ყველაზე საპასუხისმგებლოა მტს-ში. ტრაქტორი დროზე, საბრძოლად მომზადებული უნდა შეხვდეს გაზაფხულს. ტრაქტორების სახნავად გვიან გამოსვლა, ან მათი შეფერხება მუშაობის დროს, გამოიწვევს რაიონის ჩამორჩენას. შეფერხება კი არცთუ ისე იშვიათია. აქეთ — სტალინირის რაიონის მთაგორიანი ადგილმდებარეობა აძნელებს ხვნა-თესვის ნორმალურად წარმართვას. მთაში მომუშავე ტრაქტორი უფრო მძლავრი, საიმედო უნდა იყოს.

ამას ითვალისწინებენ სტალინირის მტს-ელები, ამიტომ შრომობენ ისინი ასე თავდადებულად, ერთიანად.

...შემოგვიერთდა სახელოსნოს გამგე ფედია მიროშნიკოვი — ცოცხალი, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა. ფედია სტავროპოლის მხრიდანაა. მისი მშობლები კარგა ხნის წინათ დასახლებულან სტალინირში. თექვსმეტი წლის ყმაწვილს პირველად მიმბმელად დაუწყია მუშაობა ამ მტს-ში, შემდეგ ტრაქტორისტის თანაშემწედ, შემდეგ... ცამეტმა წელმა შრომაში გაიარა. ფედკა — ფედია გახდა, მერე თევდორე, ბოლოს ოჯახი და ორი შვილი. ახლა მიროშნიკოვი სახელოსნოს გამგეა, მშრომელი, ენერგიული კომუნისტი.

დაგვატარებს სახელოსნოში ფედია, მიმზიდველად საუბრობს, ხუმრობს, თავის მეგობრებს გვაცნობს. ის არც ისეთი ახალგაზრდაა, მაგრამ მეტად გულუბრყვილო და მოუსვენარია.

სახელოსნოს ერთ-ერთ კუთხეში ტრაქტორის მოტორს ჩაკირკიტებს შუახნის მამაკაცი — სერგო თედეევი. სერგო ძველი მექანიზატორია, იგი ოცდაორი წელიწადია მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს ტრაქტორისტად. პატიოსან, გამრჯე კომუნისტს ბევრჯერ უსახელებია თავი რაიონში, ხშირად უნახავთ მის ტრაქტორზე აფრიალებული გარდამავალი დროშა.

— ეს ის ახალგაზრდაა, წეღან რომ გესაუბრებოდით — მოგვმართავს ილია იკოევი. ვუახლოვდებით შავქოჩორა ქელეხსაევს, რომელიც მძლავრად აწვება ელექტრო დრელს, ურჩ თმებზე მალიმალ ისვამს ხელს და ისედაც შავგვრემან სახეს უფრო იშავებს.

ექვსი წელიწადია ეს ჭაბუკი მტს-ში მუშაობს. მთელი ეს წლები ისე გაატარა, რომ ერთხელ არ უჭამია სირცხვილი, პირიქით, როდესაც სტალინირის მტს-ის ახალგაზრდა მოწინავე მექანიზატორებზე ჩამოვარდება სიტყვა, პირველად შოთას ასახელებენ ხოლმე.

შოთა სოფელ დოდოთიდან არის. იქა აქვს ოჯახი, მამული. მამა რომ აღარ დაბრუნდა ფრონტიდან, დედამ იკისრა ოჯახის უფროსობა, მაგრამ ველარ შესძლო ბავშვების რჩენა. გაჭირდა ცხოვრება. შოთა იძულებული იყო სწავლისათვის დროებით თავი მიენებებინა, სტალინირში ჩამოსულიყო, სამუშაო ეშოვნა, მამის ფუძე არ დაენგრია.

ჩამოვიდა მთიდან, გამოუცდელი, უნახავი ბიჭი, უცნობ ქალაქში, მაგრამ როდი დაიკარგა, პირიქით — აქ იპოვნა სამუშაო, აქ იპოვნა მეგობრები, კოლექტივი.

გავიდა წლები, მუყაითმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. დაკაცდა შოთა, წელში გაიმართა, შრომის ფასი გაიგო. ახლა იგი ყოველწლიურად ასობით კილოგრამ მარცვლეულს აწვდის ოჯახს, დოვლათი შეაქვს სახლში, საკუთარი მარჯვენით მოწეული დოვლათი, გემრიელი და ალალი.

და განა მარტო ქელეხსაევი, სერგო თედეევი და ფედია მიროშნიკოვი წარმოადგენენ აქ წამყვან ძალას, აქვე მათ გვერდით, ენთუზიაზმით იბრძვიან გ. ჯიოევი, გ. კასაევი, რ. გიაშვილი, ზ. წარიტოვი, ბ. ხედეევი, ა. გაჩიროვი და მრავალი სხვა, რომელთაც თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ სტალინირის მტს-ის შრომით საქმიანობაში. ეს მტს-სი კი ერთ-ერთი მოწინავეა მთელ ოლქში. მძლავრი მონოლითური კოლექტივი, რომელიც გამრჯე ადამიანებით არის შეკრული, ყოველთვის ასრულებს გეგმას. ბოლოს და ბოლოს, გეგმის შესრულება სხვას რას მოითხოვს, თუ არა შრომასა და ერთიანობას.

გაზაფხულზე, როდესაც ზამთარი ძალას დაკარგავს, სტალინირის მტს-ის ეზოდან გუგუნით გამოვლენ მძლავრი მანქანები და შეესევიან ველ-მინდვრებს, რათა სიუხვე და ბარაქა სთესონ.

**გ. გოთისელი**

## სოხუმის მკვიდრი



ეს იყო 1905 წლის დღეები. მაშინ ნიკიფორე რუხაძე თოთხმეტი წლის ყმაწვილი იყო, სწორედ იმ ასაკში, „გარდატეხის პერიოდს“ რომ ეტყვიან. ჰოდა, ნიკიფორეს ასაკიც სწორედ იქით, რევოლუციისაკენ გადატყდა.

პატარა ნიკიფორე მკვირცხლი, ცოცხალი, დამჯერე, მალე ყველასათვის ახლობელი და საყვარელი გახდა. მონდომებით ეხმარებოდა იგი უფროსებს ბარიკადების აშენებაში, ჭრიდა სატელეფონო ხაზებს, ასრულებდა ყოველგვარ დავალებას.

მაგრამ დამარცხდა ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია, როგორც ყველგან, ბათუმშიც დაიწყო საშინელი თეთრი ტერორი. იჭერდნენ, ხვრეტდნენ, ასახლებდნენ ყველას, ვინც კი ოდნავ შემჩნეული იყო გამოსვლებში. შედგა შავი სიები. სწორედ ამ სიაში მოხვდა ნიკიფორეც. უფროსებმა გაპარვა ურჩიეს, ცოტაოდენი ფულიც უშოვნეს და ბათუმის პორტში მომდგარ ერთ-ერთ გემზე ნაცნობ ცეცხლფარეშს მიაბარეს — სოხუმამდე ჩაიყვანეო.

სოხუმი ისეთივე უცხო იყო ჭაბუკისათვის, როგორც ყველა დანარჩენი ქალაქი, მხოლოდ ზღვა იყო აქ ნაცნობი. ნიკიფორემ გადაწყვიტა აქ დარჩენილიყო.

სოხუმის განაპირას, „წითელ ხიდს“ რომ ეტყვიან, აი იმ ადგილას, ჰქონდა საკუთარი სამჭედლო ვინმე რატიანს. სწორედ მასთან დაიწყო მუშაობა ნიკიფორემაც. ჩვიდმეტი წლის ყმაწვილისათვის ძნელი, მწუხარებით ალსავსე დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. მუშაობდნენ სამნი. მუშაობდნენ თავაუღებლად, ჩუმად, მძიმედ, უხალისოდ. შეუმჩნევლად მიიპარებოდა ახალგაზრდობის საუკეთესო წლები. დღე სამჭედლოში იწურებოდა ბუღსა და სიცხეში, ღამე კი ფარღალალა ქოხში ილეოდა.

მაგრამ დაჰქროლა ქარიშხალმა, დაიწყო რევოლუცია.

ჩამოუქროლეს წითელმა პარტიზანებმა რატიანის სამჭედლოსაც, ნიკიფორე რუხაძე თავის მეგობრებით თან გაიყოლეს ტყეში.

ნიკიფორე პარტიზანთა რაზმში იბრძოდა. იბრძოდა [illegible] სანამ სოხუმის თავზეც წითელი დროშა არ აფრიალდა. ეს იყო ოცდაერთი წლის თებერვალში.

დაიწყო ახალი ცხოვრება. ნიკიფორე რუხაძემ თავის ხელობას არ უღალატა, „მთელი ჩემი ახალგაზრდობა მჭედლობას შევალიე და ამას როგორ მივატოვებო“ — თქვა და ისევ ურო მოიმარჯვა. მაგრამ სად ის ძველი, რატიანის ბნელი სამჭედლო და სად ფართო, ნათელი საამქრო, რომელშიც ნიკიფორეს ახლა უხდებოდა მუშაობა. შრომას ფასი დაედო და უშრომლადაც არავინ ჭამდა.

მერე კი ნიკიფორემ თავისი ცხოვრების მეგობრად მშრომელი, ერთგული ქალი აირჩია და შეიქმნა მშვიდი, ტკბილი ოჯახი. მალე აკვანში ბიჭი ატირდა, მას მეორე მოყვა. ძველი სახლი რაღას დააკმაყოფი-



# რიონჰესის 25 წლისთავი

**პ. წულუკიძე**

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 36 წლის მანძილზე საქართველო ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა. ასეთი განვითარება შეუძლებელი იყო იაფი ელექტროენერგიის გარეშე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ არსებობდა საწარმოო დენის მომცემი ელექტროსადგური. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველსავე წლებში ხელი მიჰყო ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის — ზაჰესის აგებას. პირველ ხანებში, საკუთარი გამოცდილების უქონლობის გამო, იძულებული ვიყავით მიგვემართა უცხოეთის სპეციალისტების დახმარებისათვის.

ეს არც გასაკვირია, ვინაიდან საქართველოში არ არსებობდა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და არც რუსეთში იყო პრაქტიკული გამოცდილების ბაზა. სამაგიეროდ მეორე ჰიდროსადგური — რიონჰესი — ჩვენმა რესპუბლიკამ საკუთარი ახალგაზრდა კადრებით ააშენა. რიონჰესი წამყვანი სადგურია საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში და, შეიძლება ითქვას, ყველაზე რენტაბელურია სხვა ჰიდროსადგურებთან შედარებით. მისი მშენებლობა გაიშალა 1928 წელს და ძირითადად დამთავრდა 1932 წელს, 1933 წლიდან მან უკვე მოგვცა საწარმოო დენი.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ სადგურმა დღემდე გამოიმუშავა მილიარდობით კილოვატსაათი ენერგია. რიონჰესმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საქმეში, ხელი შეუწყო მეტალურგიის განვითარებას, ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციას, ზესტაფონის ფეროშენადნობის შექმნას და სხვა მრავალ საწარმოო მშენებლობას.

რიონჰესი პირველი ჰიდროსადგურია მდ. რიონზე, რიონი კი ერთ-ერთი უდიდესი პოტენციალური ენერგიის მქონე მდინარეა. მისი 300 მეტრის სიგრძეზე შეიძლება აშენდეს 10-დე ჰიდროსადგური, რომლებიც გამოიმუშავებენ 5 მილიარდზე მეტ კილოვატსაათ ენერგიას წელიწადში. ამჟამად, რიონის კასკადზე აშენებულია გუმათი — 2. გაისად შევა ექსპლოატაციაში გუმათი — 1. ამ ხუთწლედში გათვალისწინებულია აშენდეს კიდევ ერთი ჰიდროსადგური.

რიონჰესი იმ დროისათვის მეტად რთულ ნაგებობას წარმოადგენდა.

ხელოვნური ნაგებობების ასაგებად დამზადდა ორასი ათასი კუბ. მეტ. ბეტონი და შესრულდა მილიონზე მეტი მიწის სამუშაოები, მშენებლობის პირველ წლებში სამშენებლო ორგანიზაცია არ იყო აღჭურვილი სათანადო მექანიზმებით. არ იყო საკმარისად ბეტონისა და ხსნარის ამრევი მანქანები, ექსკავატორები, ბულდოზერები და სხვა სამშენებლო მექანიზმები. მშენებლობაზე მხოლოდ უკანასკნელ წლებში იქნა მიღებული ექსკავატორები.

მიუხედავად მექანიზმების ასეთი სიმცირისა, რიონჰესი შედარებით მცირე დროში დამთავრდა.

რიონჰესის აგება საინტერესოა იმითაც, რომ მისმა მშენებლობამ შექმნა ქართველი ჰიდრომშენებლების პირველი კადრი, რომელიც შემდგომში დიდად გაიზარდა და გაძლიერდა. აქ პირველად გამოიწვრთნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა ინჟინრები. აქ შეიქმნა ძირითადი კადრი მუშებისა და ხელოსნებისა, რომლებიც სოფლიდან მოვიდნენ სამუშაოდ და გადაიქცნენ ინდუსტრიული მშენებლობის ძირითად კადრად.

25-მა წელმა განვლო, რაც რიონჰესის მშენებლობა დამთავრდა, ამ ხნის განმავლობაში დიდად გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკოსთა რიცხვი. გვაქვს ჰიდროელექტროსადგურების მძლავრი საპროექტო ორგანიზაცია, სადაც გეგმარდება არა მარტო საქართველოს ფარგლებში, არამედ მის გარეშე ასაშენებელი ჰესების პროექტებიც. ზაჰესის და რიონჰესის ბაზაზე აღმოცენდა და გაძლიერდა სამშენებლო ტრესტი, რომელიც ამჟამად შვიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას აწარმოებს.

საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებობს სპეციალური ჰიდროტექნიკური ფაკულტეტი. რესპუბლიკის ენერგეტიკის კადრებს ამჟამად შესწევთ ცოდნა და ძალა გადასჭრან ისეთი რთული საკითხები, რომლებიც წამოიჭრებიან მაღალი კაშხლების და ზემაღალი წნევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, იმ რთულ ტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ პირობებში, რაც ახასიათებს კავკასიონის მთების ფერდობებს.

საბჭოთა ხელისუფლების წყალობით, საქართველოს ელექტრო მრეწველობის პიონერებს — როგორც პირველ ინჟინრებს და მუშებს, ასევე პირველ ელსადგურებს — ახლა გვერდში ამოუდგა ათობით ელსადგური, ათასობით სპეციალისტი, და დღეს საქართველოს ენერგეტიკოსებს არა მარტო მოძმე რესპუბლიკებში იწვევენ საკონსულტაციოდ, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც.

**რიონჰესის მშენებლობაზე (1928 წ.).**



ლებდათ რუხაძეებს და ქალაქის ცენტრში სამოთახიან ბინაში ჩასახლდნენ.

ქალაქი კი, ნუღარ იკითხავთ, როგორ გამოიცვალა. ასეთი ცვლილება ნიკიფორეს ზღაპარში თუ სმენია. ნამდვილად მარტო ზღაპარში გაუგონია ყვავილებში ჩაძირული ქალაქი, თეთრი სახლებით, კრიალა ქუჩებით, ლივლივა ზღვით.

როგორ სწრაფად გაირბინეს წლებმა, მაგრამ უკანასკნელ წლებს არ ემდური ნიკიფორე. თვრამეტი წელიწადი ქალაქის სამრეწველო კომბინატში მუშაობდა, მოწინავე, დაფასებული, პატივცემული. თვე როგორ გავიდოდა, რომ საწარმოო გეგმები 160-170 პროცენტით არ შეესრულებინა და ოჯახში 2.000-2.500 მანეთი არ შეეტანა.



ნოდარ რუხაძე ლინოტიპზე მუშაობის დროს.

შემდეგ კი გამოვიდა კანონი პენსიების შესახებ. გამოვიდა და როგორც სხვებს, ნიკიფორე რუხაძესაც უთხრეს: პატივცემულო ნიკიფორე, დიდი მადლობელი ვართ, რომ ორმოცდათერთმეტი წლის განმავლობაში ასე პატიოსნად, ერთგულად ემსახურებოდი შენ საქმეს, შენ ხალხს, ახლა დაჯექი სახლში, დაისვენე, ტკბილად გაატარე სიბერის წლებიო.

რაღა ეთქმოდა ნიკიფორეს მადლობის მეტი.

აი, იგი ახლა ზის სავარძელში და ისვენებს, ისვენებს ამაგდარი მოხუცი, რომელმაც პატიოსნად, ვალმოხდილად გაატარა სამოცდაექვსი წელი. ფიქრებში წასული გრძელ თეთრ ულვაშებზე ისვამს ხელს და იგონებს ბავშვობას, ჭაბუკობას, რევოლუციას, განვლილ ტკბილ დღეებს. შემდეგ წამოდგება და ვინ იცის მერამდენედ ათვალიერებს სათუთად შენახულ სხვადასხვა სიგელებს, რომელიც მას თავის შრომისა და სისპეტაკისათვის მიუღია, ფურცლავს გაზეთებს, სადაც მასზე და მის შვილებზე სწერია. შვილებით კი, მართლაც რომ ამაყობს ნიკიფორე. უფროსი გივი უკვე კარგა ხანია, რაც აფხაზეთის მხატვართა კავშირის წევრია და მას ერთ-ერთ ნიჭიერ მოქანდაკედ იცნობენ საქართველოში. თბილისის სამხატვრო აკადემია მან წარჩინებით დაამთავრა. მისი სადიპლომო ნაშრომი, „აფხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი გულია“, ფრიადზე იქნა შეფასებული, ახლახან კი მან შექმნა აფხაზი სახალხო მთქმელის ჟანა აჩბას სკულპტურული პორტრეტი და წინ კიდევ რამდენი საინტერესო შემოქმედებითი მუშაობა მოელის!

უფროს ძმას არც ნოდარი ჩამორჩება. თუმცა იგი დიდად განსხვავდება თავის სპეციალობით მოქანდაკისაგან. ნოდარი უკვე თერთმეტი წელიწადია ლინოტიპისტად მუშაობს გამომცემლობის სტამბაში და საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს, ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ იგი პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს გამომცემლობის კომუნისტებმა.

ერთი რამ მაინც ხინჯად აქვს გულში მოხუცს. ბიჭებმა შვილიშვილი დაუგვიანეს. „უიმისოდ ნუ მომკლავთ, ერთი თქვენი ბიჭიც მათამაშებინეთ მუხლებზეო“, — ემუდარება ნიკიფორე შვილებს.

ბიჭებს ეღიმებათ. „მომავალი წინაა, ყველაფერს მოვესწრებით!“

**გ. გომართელი**

გივი რუხაძე თავის უკანასკნელ ნამუშევართან — ჟანი აჩბას პორტრეტთან.





# მისი სიბერის წლები

თბილისის 23-ე საშუალო სკოლის XI კლასში ფიზიკის გაკვეთილი მიმდინარეობდა. ერთი შეხედვით, ყველაფერი ძველებურად იყო, შემოვიდა მასწავლებელი და ჩვეულებისამებრ უხმოდ შეუდგა სიის ამოკითხვას. წააკითხავდა გვარს და იმავე წამს შეუცდომლად იქითკენ გააყოლებდა თვალს, სადაც სიაში აღნიშნული მოსწავლე იჯდა, მერე ისევ ჩაიხედავდა ჟურნალში და ახლა მეორე მხარეს მიაპყრობდა მზერას. და ასე თანმიმდევრობით, ვიდრე ბოლომდე არ ჩაათავა.

მასწავლებელს გარეგნულად მშვიდად ეჭირა თავი, მაგრამ მოსწავლეები გრძნობდნენ, რომ იგი ღელავდა, და ეს მღელვარება უმალვე გადაედო მთელ კლასს. ცისანა კობახიძემ ამ დღეს თავის სიცოცხლეში პირველად თქვა უარი გაკვეთილის მოყოლაზე და სიცრუეც პირველად დაცდა — გაკვეთილი არ ვიციო, და რაღაც მოიმიზეზა: რა ექნა, ხმის ამოღება არ შეეძლო, რაღაც ებჯინებოდა ყელში, სული ეგუბებოდა. მასწავლებელიც მიხვდა ამას, თუმცა ჩვეულებას არ უღალატა, ბოლომდე სიმტკიცე გამოიჩინა და ორიანის დასაწერად დაიხარა. მაგრამ ჟურნალში, იქ სადაც ორიანი უნდა დაესვა, ცრემლი დაეცა.

შეხედეს და უმალვე მიხვდნენ ბავშვები, ეს თამარ ხელაშვილის უკანასკნელი გაკვეთილი იყო, ყურმოკრული ჰქონდათ, ჩვენი დირექტორი პენსიაში გადისო.

და აი, ზის თამარი ახლა შინ, პაწია შვილიშვილს ეთამაშება და მისი ფიქრი ისევ იქ არის სკოლაში, თავის გოგო-ბიჭებთან, თეთრბანტიან პირველკლასელ გოგონას, წინაკბილები ახლახან რომ მოუცვლია, ალერსით უსვამს თავზე ხელს და ღიმილით უსმენს როგორ სააცილოდ წარმოთქვამს იგი ფრაზებს. მეორეს, აი იმას, უცბად რომ აუყრია ტანი და შარშანდელ ხალათში ბეჭები აღარ ეტევა, ტუქსავს, საულვაშე უდროოდ რად ჩამოიფხიკეო. მესამეს... მეათეს, მეასეს, მეათასეს დედურ კოცნასა და ალერსს უგზავნის, სიყვარულს უნაწილებს. მაგრამ ახლა ისინი შორს არიან იმისგან და მთელს ამ თავის დიდ გრძნობას პაწია შვილიშვილისადმი მზრუნველობაში ხატავს და აქსოვს. და როგორ სწყინს, რომ იგი ჯერაც ჩვილია და მოფერების მეტს ვერაფერს გაიგებს, ვერ მიხვდება.

ეჰ, თუმცა ამ პაწიას კი არა, იქნებ ბევრ დიდსაც არ ესმოდეს, რა ხდება ყოფილი მასწავლებლის გულში. ვალმოხდილი და კმაყოფილი წამოვიდა სკოლიდან და მაინც გულს შერჩა რაღაც ბუნდოვანი გრძნობა, ოცნებასავით ტკბილი, ტკივილივით მწვავე, — იქნებ სინანული, იქნებ დარდი დაუბრუნებელ დღეებზე, განვლილ ახალგაზრდობაზე.

ნუთუ მართლა ყველაფერი მოგონებადღა დარჩა. რა მალე გაფრენილან წლები, თითქოს გუშინ იყოო, პირველად რომ შევიდა კლასში ჟურნალით ხელში და აჰა, უკვე ორმოც წელზე მეტი გასულა. აი აქ არის იმდროინდელი სურათი, ცხოვრებაში სრულიად გამოუცდელი, ნაზი და ბავშვივით გულუბრყვილო ქალიშვილი იცქირება ჩარჩოდან. მაშინ იგი ჯერ ოცი წლისაც არ იყო, არ იცოდა რა იყო დედური გრძნობა, მაგრამ იცოდა, აკვნიდანვე დაჰყვა თავისი მიწისადმი, ხალხისადმი, ენისადმი სიყვარული. და ამ გრძნობამ მალე გაუკაფა გზა პატარების გულებისაკენ.

ორმოცი წლის განმავლობაში ერთხელაც არ შეუწყვეტია სკოლაზე, მოსწავლეებზე ზრუნვა და ფიქრი. და ვინ მოთვლის ამ ხნის მანძილზე ფიზიკის კანონებთან, სამყაროს რაობის ანბანთან ერთად რამდენ ბიჭუნას და გოგონას გადაუშალა ცხოვრების დიდი წიგნი, ასწავლა ჭეშმარიტი სიყვარული, შეასმინა სიცოცხლის ფასი.

ცხოვრება რთულია და ამ დიდ გზაზე სიძნელეებიც ხვდებოდა, ხშირად მეტად დიდი და მძიმეც, აღსაზრდელთაგან ყველა ერთნაირად დამჯერე როდი იყო, ყველას ერთნაირად როდი ესმოდა მისი შეგონებანი. გარდა ამისა, სხვა საზრუნავიც ჰქონდა: ოჯახის დედა იყო, ქმარი ურჩევდა მიეტოვებინა სკოლა და შვილებისათვის მეტი ყურადღება დაეთმო. ბევრჯერ იყო წყენა, გულისტკივილი, წუწუნი და გულგატეხილობა კი არასოდეს. გინდათ საქმისადმი ერთგულება დაარქვით ამას, გინდათ პასუხისმგებლობის გრძნობა უწოდეთ, თავიდათავი კი მთელს მის საქმიანობაში იყო თვით ადამიანებისადმი სიყვარული, რწმენა, რომ ცუდი ბავშვები არ იბადებიან, არიან მხოლოდ ცუდი აღმზრდელები, მას კი არ უნდოდა ცუდი ყოფილიყო.

და არც იყო ცუდი, არასოდეს არც მოსწავლეს, არც მოსწავლის მშობელს ავად არ უხსენებია იგი, ყველას უყვარდა. და ეს სიყვარული მან სიყვარულითვე მოიხვეჭა. მუდამ უყვარდათ და უყვართ იგი, ამას იგი კითხულობდა გაკვეთილზე გოგო-ბიჭების მისკენ ყურადღებით მიპყრობილ თვალებში, ეს ნათლად ჩანს მის ნამოწაფართა მიერ მონაწერ ბარათებში.

მთავარი მაინც ის არის, რომ მის შრომას, ამაგს უქმად არ ჩაუვლია, კარგები გამოზარდა, ბევრი მათგანი სახელოვანი ადამიანია — მეცნიერი, პოეტი, ხელოვანი, ინჟინერი, ექიმი, ზოგიც მის კვალს გაჰყვა, პედაგოგია, მომავალი თაობის აღმზრდელი. რამდენი ერთი ჩამოთვალოს — ისინი ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი.

ყველაფერი ეს ერთი ადამიანისათვის, მგონი, საკმარისია, რომ ვალმოხდილად ჩათვალოს თავისი თავი საზოგადოების, თავისი ხალხის წინაშე. მიუხედავად ამისა, გული ეტკინა მოხუც მასწავლებელს, მისი პენსიაში გასვლის შესახებ რომ ჩამოვარდა სიტყვა.

თამარს ფიქრიც არ უნდოდა იმაზე, რომ თუნდაც ერთი დღე ისე დაუღამდებოდა, სკოლაში არ მისულიყო. მაგრამ იმასაც გრძნობდა, ძველებურად არ მოსდევდა ჯან-ღონე, ამიტომ დათანხმდა.

უკვე სამი თვე გავიდა იმ უკანასკნელი გაკვეთილიდან და თამარი შეეჩვია პაწია შვილიშვილთან განმარტოებას. ახლა ადრინდულად არ ავიწყდება, რომ დღეს სკოლაში წასასვლელი არ არის და გაკვეთილების ცხრილს, ფიზიკის სახელმძღვანელოს არ დაუწყებს ძებნას. შეეჩვია, შეეგუა მოხუცებულობის ხვედრს, სკოლის გარეშე მაინც ვერ სძლებს. კვირა ისე არ გავა, მშობლიურ სასწავლებელს არ ეწვიოს, არ ინახულოს ამხანაგები, კოლეგები, მოსწავლეები. არც ბავშვები ივიწყებენ საყვარელ მასწავლებელს. ხშირად მიდიან მასთან სახლში.

სხვებზე ზრუნვაში გართულს არ ეცალა საკუთარ თავზე ეფიქრა, არასოდეს არ ითვლიდა მხრებზე დაწოლილ წლებს, შავ თმებში გამორეულ ჭაღარას და ახლა ჰგონია, ერთბაშად, მოულოდნელად დაატყდა თავს სიბერე, შეუმჩნევლად გასულა სიცოცხლის საუკეთესო წლები, გაფრენილა ახალგაზრდობა. მაგრამ ამის იქითაც არის ნამდვილი ცხოვრება. ადამიანის ბედნიერება ამოუწურავი ყოფილა, მიზნები და მისწრაფებანი დაულეველი. ახლა მოხუცი მასწავლებელი მთელ თავის დედურ სითბოს, სიყვარულს ამ თითისტოლა გოგონას ალევს. ჯერ პატარა მაიას ათიოდე სიტყვის გაგებაც არ ძალუძს, მაგრამ ბებია მას მთელი დღე დიდივით ესაუბრება და რძლის გასაგონად ხშირად ეტყვის:

— მაია, ჩემო პატარავ, ძამიკო გინდა, არა? რამდენი? ერთი, ორი, სამი... დაიკოც, ხომ?

მაიასი რა გითხრათ და თვით მოხუცი კი გულით ნატრობს ოჯახის გამრავლებას, უნდა რაც შეიძლება მეტი შვილიშვილი ჰყავდეს და მათ ვაჟკაცობას მოესწროს, მათ ქალობას მოესწროს. სხვა სანატრელი რაღა აქვს ამაგდარ მასწავლებელს. ტკბილი სიბერე დაუდგა. ახლა ასე ბედნიერი და დამშვიდებული, თავის ცხოვრებას რომ გადაავლებს თვალს, მამის — კახელი გლეხკაცის — მწარე ხვედრს გაიხსენებს და გულში დალოცავს პარტიას, ხალხის ძალასა და ნებისყოფას, რომლებმაც სიბერის ჟამს მისი ბედნიერება უზრუნველყვეს.

**მ. მიქაძე**

ფოტო ოთ. თურქიასი









# სეინერები მიდიან ზღვაში

**როდამ ჩაჩანიძე**

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

ჯერ კიდევ ბნელოდა, კუპრივით შავი ჩანდა შავი ზღვა. „პობედისა“ და საფრანგეთის გემ „მარსელიოზის“ ლამპიონების შუქი აქა-იქ ლიცლიცებდა ბათუმის ნავსადგურში. კაპიტანმა სტეფანე რეზნიკმა, საშუალო ტანის ჩასკვნილმა კაცმა, ბრძანება გასცა. ნელა ამოხრიალდა ღუზა ზღვიდან და ზედ კიჩოსთან დაეკიდა.

სეინერი წყნარად დაიძრა. გვერდი ავუარეთ ნავსადგურში მდგარ გემებს და გაშლილ ზღვაში გავედით.

სეინერი ჩვეულებრივი პატარა გემია, რომელიც თევზებზე ნადირობს

წელს შავ ზღვას დიდძალი თევზი მოაწყდა: დიდი ნაწილი ამ თევზებისა ხმელთაშუა ზღვიდან შემოვიდა. შავი ზღვისპირა ნავსადგურებიდან ყოველდღიურად ასობით სეინერი გადის და უამრავ თევზს იჭერს.

უცნაური ჩვეულება აქვს თევზს, ხანდახან მისი ქარავანი მრავლად გამოეფინება და მეთევზეები ბადის ჩაგდებას ვერ აუდიან. ხანდახან კი სადღაც გაქრება, მთელი დღეობით ეძებ, ეძებ ღამითაც, მაგრამ ქარავანი არსად ჩანს.

ჩვენმა სეინერმა კურსი სარფისაკენ აიღო. აქ მდინარეების შესართავთან ხშირად დიდძალი თევზი იყრის თავს. შემდეგ უფრო ღრმად შევედით ზღვაში, რადისტი ვალენტინ ლისენკო განუწყვეტლივ ელაპარაკებოდა სხვა სეინერებს, მაგრამ თევზის ქარავანი არსად ჩანდა, ხელმოცარული დავდიოდით.

რადისტმა თევზის მძებნელი აპარატი ჩართო. ამ პატარა აპარატს მეთევზეები სხვანაირად ხმის ჩამწერსაც ეძახიან. მართლაცდა ეს უცნაური ხმის ჩამწერი თევზის ქარავნის უმნიშვნელო ხმაურის მიხედვით კუბოკრულ ქაღალდზე გამოსახავს მთელ მის მარშრუტს.

კაპიტანი რეზნიკი საჭესთან იდგა. ცოტა არ იყოს უგუნებოდ გაჰყურებდა წყნარსა და მშვიდ ზღვას. ჩვეულებრივად, თევზის ძებნა ყველაზე უფრო მოსაწყენია მეთევზეებისათვის, რადგან მკაცრ ცხოვრებასთან შეზრდილი შრომისმოყვარე მეთევზის ბუნება ვერ იტანს „შესვენების“ ამ პროცესს.

— შუადღემდე ღელვა დაიწყება, — თქვა გამოცდილმა კაპიტანმა, — ერთი შეხედვით კაცს გაუკვირდებოდა ეს პროგნოზი, რადგანაც ამინდის შეცვლისათვის თითქმის არავითარი საფუძველი არ არსებობდა, მოწმენდილი, უღრუბლო ცა, მშვიდი ზღვა, მაგრამ კაპიტან რეზნიკის პროგნოზი თურმე ყოველთვის მართლდება.

რეზნიკს არც კი ახსოვს როდის დაიწყო მუშაობა გემზე. ის ხშირად ხუმრობით ამბობდა — „ხანდახან ასე მგონია გემზე დავიბადეო“. რაც არ უნდა დიდი ღელვა და ნისლი იყოს, რეზნიკს შეუძლია უკომპასოდ გაიკვლიოს გზა ზღვაში.

თორმეტ საათზე ჰაერში თვითმფრინავი გამოჩნდა. რადისტი რადიოთი დაუკავშირდა მფრინავს. მფრინავმა გადმოგვცა, რომ მან შეამჩნია სტავრიდის ქარავანი. ის, რაც უხილავია გემიდან, კარგად ჩანს თვითმფრინავიდან. მფრინავს შეუძლია თევზის ქარავანი შენიშნოს წყლის 3-4 მეტრ სიღრმეშიც კი.

სეინერმა კურსი აიღო მფრინავის მიერ ნაჩვენები მარშრუტის მიხედვით. რადისტმა მხიარულად გამოაცხადა — ხამსის ქარავანი გამოჩნდაო.

— ახლა სტავრიდაც გამოჩნდება, — ღიმილით მითხრა მაღალი ტანის მეზღვაურმა ზ. გაბელაიამ, — სტავრიდა ხამსას ჭამს და უკან დასდევს.

მართლაც სულ მოკლე ხანში ქაღალდზე მსხვილი ტეხილი ხაზი აღინიშნა, ეს უკვე სტავრიდის ქარავანს ნიშნავდა.

გემი გამოცოცხლდა. მეზღვაურები ზ. გაბელაია და მ. ფალავა სეინერის უკან მიბმულ ნავში გადასხდნენ. სეინერმა ერთ ადგილზე წრე შემოხაზა. კაპიტანი ყოველი ოთხი მეტრის გავლისას ფიცრის ნატეხებს ყრიდა, რითაც ხაზავდა ქარავნის ადგილსამყოფელს.

ნავში მყოფმა მეზღვაურებმა ბადე დაითრიეს. ეს ბადე დიდად განსხვავდება ჩვეულებრივი ბადისაგან. ის იქსოვება კაპრონის ძვირფასი ძაფისაგან. სიგრძე უდრის 750 მეტრს, სიგანე კი 69 მეტრია. ბადის ერთ მხარეზე დამაგრებულია საცობის დიდი ნაჭრები, მეორეზე კი რკინის რგოლები. გადაგდებისას რგოლები ქვევით ეშვება, საცობი კი ზევით რჩება და ამგვარად თევზს ბადეში აქცევს.

სეინერმა წრიულად შემოუარა თევზის ქარავანს, ბადე ნელ-ნელა გადადიოდა წყალში და ბოლოს მისი ბოლოები შეერთდნენ.

თითქოს ამას ელოდაო, ამინდი ერთბაშად შეიცვალა, ცა ღრუბლებით დაიფარა. ქარმა ჯერ ნელა გადაუქროლა ზღვას შემდეგ თანდათან გაძლიერდა და ტალღებიც აზვირთდნენ.

მეზღვაურები სრული დატვირთვით მუშაობდნენ, გემბანისაკენ მოათრევდნენ ვეებერთელა ბადეს. ქარმა ბადის ერთი კუთხე სადღაც სეინერის ქვეშ შეკეცა. საჭირო იყო მისი დაუყოვნებლივ გამოთრევა, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო შეკეცილ ბადეში თევზს გასაქცევი ეპოვნა და მთელი ქარავანი თვალსა და ხელს შუა გამქრალიყო. წყალში გადაეშვა ზ. გაბელაია, ის შეცურდა გემის ქვეშ და ბადე გამოათრია.

თითქმის ოთხი საათი გრძელდებოდა ბადის ამოტანა. ბოლოს თევზის ქარავანი ბადის შუაგულში მოაქციეს და წყალში ჩაუშვეს მეორე, თურქული ფესისებური ბადე. ამ ბადეს თვითეულ ამოსმაზე გემბანზე ამოქონდა 3-4 ტონა თევზი.

ქარი უკვე მთელი სიძლიერით ქროდა. ტალღები გემბანს წვდებოდნენ. მძიმედ დატვირთული სეინერი მშვიდად მიცურავდა ზღვაში.

დაღამდა. არსად არაფერი ჩანდა. ხანდახან რომელიმე სეინერის შუქი თუ გამოჩნდებოდა. ჩვენ ნელა მივდიოდით ხმელეთისაკენ, რომ მძიმე ტვირთი დაგვეცალა. ამჟამად, საჭესთან კაპიტნის თანაშემწე, ახალგაზრდა მეზღვაური სუმბატ სარქისიანი იდგა. მართალია მას მუშაობის დიდი გამოცდილება არა აქვს, მაგრამ საუკეთესო მეზღვაურია, კაპიტანი რეზნიკი ენდობა მას.

საყოველთაოდ ცნობილია ბათუმელ მეთევზეთა სახელი. საკმარისია ითქვას, რომ ისინი თევზჭერის ყოველთვიურ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

სეინერი, რომელზეც კაპიტან ს. რეზნიკის ბრიგადა მუშაობს, ერთ-ერთი მოწინავეა. ამ ბრიგადის წევრებმა შეუპოვართა სახელი დაიმკვიდრეს. როგორი ამინდიც არ უნდა იყოს ისინი უშიშრად დაცურავენ და სახელმწიფოს აბარებენ ძვირფას თევზს. მოწინავეთა შორის ითვლება, აგრეთვე, კაპიტნების გ. უკლებას, შ. მეგრელიძის, ს. ასლანიანის ბრიგადები.

ზღვის უშიშარი ლომები. ასე უწოდებენ მათ ბათუმელები.

სეინერ № 73-ის ხმისჩამწერ აპარატთან.



სეინერ № 73-ის კაპიტანი გივი უკლება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთავის უმცროსი ძმა

**ი. მუხაძე**

ფოტო ა. პჩემიანისა

გასაოცრად დიდია მსგავსება. მათი პირველი ნაბიჯებიც ერთნაირი იყო და მასწავლებლებიც საერთო ჰყავდათ. თუ გნებავთ ასეთი დეტალიც: ბაქოდან სუმგაითამდე ზუსტად იმდენივე მანძილია, როგორიც თბილისიდან რუსთავამდე. ასევე დედაქალაქის ცენტრში ჯდებით ავტობუსში და ორმოცდახუთი წუთის შემდეგ აღმოჩნდებით რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქში. მხოლოდ ხამი წლით თუ არის უფროსი რუსთავი. სუმგაითს თავისი პირველი ათი წლისთავი ჯერ არც კი გადაუხდია.

...უკვე შორიდან მოჩანს მარტენის ღუმელების მაღალი, ვიწრო მილები, ავტობუსის მძღოლი კი, როგორც დაჩვეულია, აცხადებს: ჯეირან-ბაგანის გაჩერება, რაც ნიშნავს ჯეირანების ადგილსამყოფელს. ჩანს, ეს სახელწოდება შეუნარჩუნეს იმისთვის, რომ პირველი გაცნობისთანავე ადამიანმა შესძლოს უკეთესად შეაფასოს, თუ რა გოლიათური შრომით არის აგებული ეს ბუმბერაზი ქარხნები, მრავალსართულიანი შენობების მთელი კვარტალები, კულტურისა და დასვენების პარკი, რა მუყაითობითაა დარგული თვითეული ხე, თვითეული ბუჩქი. და ეს ტბაც, რომელიც ჯეირან-ბაგანის ვეებერთელა ბუნებრივ ღრმულში ლივლივებს, ესეც ადამიანის ხელითაა ნაკეთები.

თუ ცოტა ხნით დავივიწყებთ, რომ რუსთავსა და მისი უმცროსი ძმის სუმგაითს შორის მთელი ერთი დღე-ღამის სავალი გზაა და რომ ერთი მეტალურგიული ქარხანა მტკვრის მახლობლად მდებარეობს, მეორე კი კასპიის ზღვასთან, ადვილად შეიძლება იფიქროს ადამიანმა, რომ ეს ერთი და იმავე კომბინატის უზარმაზარი საამქროებია. დღისით და ღამით ამ საამქროებში ცეცხლი გიზგიზებს და მანქანები გამაყრუებლად გრიალებენ, გავარვარებული ფოლადის ზოდებს ტკეცენ, სჭიმავენ და უზარმაზარ ჰილზებად აქცევენ. თვალის დახამხამებაზე ისინი თანაზომიერი კაკუნით გადარბიან შემკერავ დანადგარიდან ავტომატურ დანადგარებზე, აქ სჭიმავენ იმ სიგრძეზე და აძლევენ იმ სისქეს, როგორიც ესაჭიროება შემკვეთელს. ამას წინათ, როცა ინდოეთის ქალაქ მადრასის შეკვეთას ასრულებდნენ, მილის კედლების სისქე არ უნდა აღემატებოდა $3\frac{1}{2}$ სმ., მაშინ როცა სიგრძე 50 მეტრზე უნდა გაჭიმულიყო.

აქ ფოლადის ვეება, ათეული ფუთობით წონის ზოდებთან აქვთ საქმე, სისქის მერყეობა კი მხოლოდ ½ მილიმეტრითაა დასაშვები. ოპერატორი მთლად ყურადღებადაა გადაქცეული, თვითეული წუთი გაანგარიშებულია. მეტალურგების დიდ ოჯახში, რომელიც მებრძმედეების, ფოლადისმდნობელებისა და მგლინავებისგან შედგება, ყოველთვის პირველ ადგილზე აყენებენ იმათ, ვინც მილებს ამზადებს. ყველა ოსტატს შორის მათ მეტი დახელოვნება და მეტი სიზუსტე ახასიათებთ, მათ საქმიანობაში ძნელია გაარკვიო, სად მთავრდება პროფესიული ოსტატობა და სად იწყება დიდი ხელოვნება.

მაგრამ როგორ ფიქრობთ, ვინ არის ყველაზე უკეთესი სუმგაითელ მილმგლინავთა შორის? კასპიის ზღვის მკვიდრი, მეთევზის ვაჟი და წინათ თვითონაც მეთევზე — ტაგი ყულიევი.

როცა მან სხვა აზერბაიჯანელ ჭაბუკებთან ერთად პირველად შედგა ფეხი უკრაინის ქ. ნიკოპოლის ქარხნის სამილო საამქროში, სადაც აქეთ-იქით დაძრწოდნენ ამწეები, გუგუნებდა ღუმელებში ცეცხლი და ნაპერწკლებს ისროდა გავარვარებული რკინა, იქ უკვე იყვნენ საქართველოდან ჩამოსული ასეთივე ჭაბუკები. მათ ყველას ხელობა შეასწავლეს სახელოვანმა ოსტატებმა პეტრე ბულგაკოვმა და ექვთიმე ბაბაკმა. ერთი რუსი გახლდათ და მეორე უკრაინელი.

როცა რუსთავიდან ნიკოპოლში მოვიდა დეპეშა, რომლითაც ქართველებს მშობლიურ ქარხანაში იწვევდნენ, რადგან აქ უნდა ამუშავებულიყო პირველი მილსაგლინავი საამქრო, მასწავლებლებმაც გამოთქვეს სურვილი თავის ყოფილ მოწაფეებთან ერთად რუსთავს გამგზავრებულიყვნენ. პირველ ვახტზე ერთად იდგნენ პეტრე ბულგაკოვი, ექვთიმე ბაბაკი, იოსებ ქუთელია, ილია ტურაშვილი.

გავიდა ხანი და მემონტაჟეების ბრიგადა გადასროლილ იქნა რუსთავიდან სუმგაითში მილსაგლინავი დანადგარის გასაშვებად. აქაც მმართველ პულტთან იდგნენ ბულგაკოვისა და ბაბაკის მოწაფეები — ტაგი ყულიევი, აზიზ იბრაჰიმოვი, ენვერ მამედოვი, აიდინ ალიევი. ახალგაზრდებს რომ უფრო ყოჩაღად ეგრძნოთ თავი და საქმე უფრო სწრაფად მოგვარებულიყო, კვლავ ნიკოპოლიდან ახლა სუმგაითისკენ გამოემგზავრნენ საუკეთესო ოსტატები, ზოგიერთი მათგანი კი, მაგ., პავლე პროზოროვი, ვლადიმერ პრეობრაჟენსკი სუმგაითში საბოლოოდ დასახლდნენ.

მეგობრებთან ერთად კომუნისტ ვასილ კავტორინსაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ იგი სწორედ ამ ხანებში ჯერ ჩინეთში მიავლინეს — მისი გამოცდილების გაზიარება დასჭირდათ ჩინელ მეტალურგებს, რომლებიც მაშინ ან-შანის კომბინატის ამუშავებას აპირებდნენ. გამოდიოდა, რომ ვასილ კავტორინს ნიკოპოლიდან სუმგაითში ჩასასვლელად ჩინეთზე გავლით უნდა ემგზავრა, როგორც ეს ხუმრობით უთხრა ვასილს სამილო საამქროს პარტბიუროს მდივანმა ახალგაზრდა ინჟინერმა იდრის ალიევმა.

დაახლოებით ასეთივე ამბავი გადმოგვცა ამას წინათ რუსთავის დანადგარ „400"-ის უფროსმა პავლე წერეთელმა. გამოვემშვიდობე ჩემს კარგ მეგობარს, — თქვა მან, — ჩემსავით ახალგაზრდა ინჟინერს ბორის კრავცოვს უკრაინაში და წამოვედი რუსთავში. ერთხელ ჩვენთან სტუმრები ჩამოვიდნენ სუმგაითიდან და, ამას რას ვხედავ, სუმგაითელ სტუმრებს შორის ჩემი ბორისიცაა. მიყურებს და იღიმება. ვეკითხები, საიდან სად, როგორ მოხვდი აზერბაიჯანელ დელეგატებს შორის-მეთქი, მე ხომ ამ ცოტა ხნის წინათ დნეპრის ნაპირებზე გამოგემშვიდობე. სულ უბრალოდ, — მეუბნება კრავცოვი, — მივწერე სამინისტროს, მივეჩვიე-მეთქი აზერბაიჯანელ მგლინავებს, რომლებსაც წელიწადნახევარი ვასწავლიდი. ამასთანავე მინდა რუსთაველ მეგობრებთანაც ახლო ვიყო. სამინისტროში ჩემი თხოვნა კანონიერად ცნეს და სუმგაითში გადმომიყვანეს.

ხდება ასეც: ურალიდან სუმგაითის ქარხნის ახალ მარტენის საამქროში ჩამოვიდა გამოცდილი ფოლადისმდნობელი ანატოლი სავჩენკო. რამდენიმე ხნის შემდეგ მან შეამჩნია, რომ საამქროში დღითი დღე სულ უფრო და უფრო დაღვრემილი დადის ერთი უბრალო, შავი მუშა, აზერბაიჯანელი ბაბაევი. ანატოლიმ გამოიკითხა და გაიგო, რომ ბაბაევმა ვერ იპოვა აქ თავისთვის შესაფერი სამუშაო და უკვე განცხადებაც კი მისცა საამქროს უფროსს გათავისუფლების შესახებ. სავჩენკოს თითქოს რა ესაქმებოდა ვიღაც ბაბაევთან, რომელთანაც ხეირიანად ორი სიტყვაც არ დაულაპარაკნია. მაგრამ, არა, სავჩენკო დაინტერესდა ადამიანის ცხოვრებით, ჩამოუგდო ლაპარაკი ბაბაევს მარტენის ღუმელებზე და შესთავაზა: მესამე დამხმარე მუშად შემოდი ჩემს ბრიგადაშიო. არ გაუვლია ერთ წელიწადსაც, სავჩენკომ ბაბაევს ფოლადის გამოდნობა შეასწავლა, და ამ უკანასკნელ ხანებში მას არა ერთხელ შეუცვლია სავჩენკო სამუშაოზე, სულ მალე კი მას, ალბათ, ბრიგადასაც ჩააბარებენ. დიახ, ყველაფერი ისე კეთდება, როგორც დიდ ოჯახში. ადამიანური გულითადი ურთიერთობა, მეგობრობა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება. აი კიდევ მაგალითი. ტაგანროგის მეტალურგიულ ქარხანაში ოსტატ ევგენი ზაიცევთან ორი მოწაფე მოხვდა — ქართველი შალვა კუხალეიშვილი და აზერბაიჯანელი მურად ზეინალოვი. რუსეთის ქალაქში შალვა და მურადი ფოლადისმდნობელები გახდნენ და სამუდამოდ დამეგობრდნენ კიდეც.

მეგობრები, ცხადია, ცდილობენ რაც შეიძლება ხშირად შეხვდნენ ერთმანეთს. ეს არა მარტო კუხალეიშვილსა და ზეინალოვს ეხება, ასევე ითქმის იოსებ ქუთელიასა და აზიზ იბრაჰიმოვზე, ბორის კრავცოვსა და პავლე წერეთელზე, ასეულობით ადამიანზე, რომლებიც რუსთავ-სუმგაითის შეჯიბრებაში მონაწილეობენ.

რუსთავისა და სუმგაითის შეჯიბრებაში კიდევ ერთი რამ არის ღირსშესანიშნავი.

საქმე ისაა, რომ აზერბაიჯანში მხოლოდ ახლა აამუშავებენ ბლუმინგსა და მილების დამამზადებელ დანადგარს. მაშასადამე, სუმგაითელი მგლინავები ჩვეულებრივ სარგებლობენ ნამზადით, რომელსაც რუსთავი უგზავნის, და თავის ვალდებულებას, — გეგმის ზევით გამოუშვან რამდენიმე ათასი ტონა თხელკედლიანი მილი, — ისინი შეასრულებენ თავისი, ასე ვთქვათ, „მეტოქეების" მეგობრული დახმარებით, როცა ვადაზე ადრე და დიდი რაოდენობით რუსთავიდან სამილო ნამზადს მიიღებენ. რუსთაველებს, რა თქმა უნდა, თავისი ინტერესიც გააჩნიათ: მიზნად აქვთ დასახული დამატებით დაამზადონ ათასი ტონობით საგლინი, რადგან, ბუნებრივია, სურთ თავისი ქარხანა ჩააყენონ ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეტალურგიული ქარხნების რიგში.

ასე ეჯიბრება ეს ორი ქარხანა ერთმანეთს პირველობაზე, მაგრამ მილების დამამზადებელი დანადგარი მხოლოდ ერთია, მარტო რუსთავში. რა გზას დაადგნენ რუსთაველები? — ისინი ადნობენ ფოლადს, ტკეცენ ბლუმინგზე ზოდებს, გლინავენ ნამზადს და დამატებითი გარჯისა და შრომის ახალი ხერხების გამოყენების შედეგად მიღებულ ლითონს სუმგაითს აგზავნიან, რათა უმცროსი ძმა, თუ, მაგალითად, გასწრებას ვერ შესძლებს, ყოველ შემთხვევაში არ ჩამორჩეს მაინც უფროს ძმას.

სუმგაითის მარტენის ღუმელებს არემონტებენ, მხოლოდ რუსთავიდან ჩამოსული ბრიგადები, და სამუშაოს ყოველთვის ვადაზე რამდენიმე დღით ადრე ამთავრებენ. სამაგიეროდ სუმგაითში ასრულებენ რუსთავის შეკვეთებს ყოველგვარ სხმულზე, ინსტრუმენტზე, მოწყობილობაზე და, თავისთავად ცხადია, ყველაფერი ახალი, რაც გაუჩნდება უფროს ან უმცროს ძმას, უეჭველად ორთავეს კუთვნილება ხდება.

როცა სუმგაითის ქარხნის ბლუმინგისა და მილების დამამზადებელ დანადგარისთვის საჭირო შეიქნა ათეულობით ახალი ოსტატი, ბრიგადირი და ოპერატორი, რუსთავში გაგზავნეს ხალხი სასწავლად. როცა არ უნდა იკითხოთ, სუმგაითში ყოველთვის დაწვრილებით გიამბობენ, წარგზავნილების სწავლება როგორ მიმდინარეობს რუსთავში, რა აზრისაა თავის მოწაფე კარიმოვზე შემდუღებელი ბრეჟნაია, როგორ ეხმარება ალიმოვს ვეფხვიშვილი, გარდა ძირითადი საქმისა, რუსუ-



სუმგაითის მილსაგლინავი ქარხნის მარტენის საამქროში ოსტატი დავით ყიფშიძე და ოსტატი ისა სელიმ-ზადე.



საცხოვრებელი ბინები სტალინის ქუჩაზე ქალაქ სუმგაითში.

ლი ენის დაუფლებაშიც და ა. შ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, აგრეთვე, ერთი მსგავსება, რომელიც რუსთავსა და სუმგაითს ახასიათებთ. სუმგაითი, მისი უფროსი ძმის მსგავსად, ჩამოყალიბდა, როგორც მეტალურგიული, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, როგორც სამილო ქარხანა. მერე კი გაჩნდა და სწრაფად გაიზარდა, ისევ რუსთავის მსგავსად, სულ ახალი და ახალი ქარხნები. ამ ორიოდე წლის წინათ ჩვენ არც კი გაგვეგონა არაფერი სუმგაითის ალუმინის შესახებ, დღეს კი საბჭოთა ქვეყნის ყოველ კუთხეში მიდის მოვერცხლისფრო ზოდების მთელი ეშელონები, რომლებზეც სამი ასოა ამოკვეთილი „Саз" — სუმგაითის ალუმინის ქარხანა. მაგრამ ეს ქარხანა უკვე აღარ ითვლება ყველაზე ახალგაზრდა ქარხანად. გაჩნდა უფრო ახალი ქარხნები. აი თუნდაც ქარხანა, სადაც დიდ ნათელ და გასაოცრად ხალხმცირე საამქროებში ნავთობის მრეწველობის ნარჩენისგან, გაზისაგან, რომელიც წინათ ჰაერში უგზოუკვლოდ და უსარგებლოდ იფანტებოდა, ამზადებენ ჯერ ხპირტს, მერე კი კაუჩუკსაც.

ახლა ამ ქარხანაში მზადდება გასაშვებად ოცამდე ახალი საამქრო. შემდეგ რიგში დგას სუპერფოსფატის ქარხნის ამუშავეა.

არა, უმცროსი ძმა არაფერში არ უნდა ჩამორჩეს უფროსს. და ამ ქალაქში ყველაზე საოცარი ბიოგრაფიები და ყველაზე უჩვეულო შეხვედრები მაინც ბუნებრივად, კანონზომიერად მოგეჩვენებათ. აი, მოვუსმინოთ სუმგაითის ქარხნის მარტენის საამქროს ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს კონსტანტინე გოქსაძეს.

— ამას წინათ, — გვიამბო გოქსაძემ, — ლენინის სახელობის პროსპექტზე — ჩვენი სუმგაითის ცენტრში — უეცრად ყური მოვკარი მშობლიურ ქართულ ენაზე საუბარს. სამი ახალგაზრდა გატაცებით მსჯელობდა თავისი მომავალი მუშაობის შესახებ ახალ ადგილზე. მე, რა თქმა უნდა, ველარ მოვითმინე და გამოველაპარაკე. ისინი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდები აღმოჩნდნენ: გურამ ინაური, გურამ ნაკაიძე და გიორგი ლორთქიფანიძე. გიორგის მამას — მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მე დიდი ხანია ვიცნობ. ჭაბუკებმა მითხრეს, რომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მათ სუმგაითში მუშაობა მოისურვეს.

— რატომ მაინცდამაინც აქ? — გაკვირვებით შევეკითხე.

— იმიტომ, რომ საამქროს, რომელშიც მე ვარ დანიშნული, — ფიცხლად მიპასუხა გიორგი ლორთქიფანიძემ, — ამჟამად ამზადებენ გასაშვებად. მე მომიხდება მოწყობილობის მონტაჟზე მუშაობა, და ეს გაცილებით უფრო საინტერესოა ახალგაზრდა ინჟინრისთვის, ვიდრე მზამზარეულზე მოსვლა. თქვენ კი, ამხანაგო კონსტანტინე, განა უკმაყოფილო ხართ სუმგაითში რომ მუშაობთ? — ახლა თავის მხრივ შემეკითხა ლორთქიფანიძე.

გამეცინა. არა, მე ძალიან კმაყოფილი ვარ. მე ისეთივე მოხალისე ვარ, როგორც თქვენ. ჩამოვედი აქ, შეიძლება ითქვას, პირველ ფოლადის მდნობელებთან ერთად. სად ვსწავლობდი? დავიწყე მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატში, მერე ტექნიკუმი დავამთავრე, ვმუშაობდი დონბასში. სუმგაითის სამილო საამქროს ამუშავების წინ მე და ნოდარ ჯუღელმა ვითხოვეთ აზერბაიჯანში გაგზავნა.

შემდეგ გოქსაძემ ჭაბუკებს უამბო, რომ ყველა საამქროში პირველ დღიდანვე მუშაობენ ქართველები — ინჟინრები, ოსტატები, ტექნიკური კონტროლის მუშაკები. ეს ისევე ბუნებრივია, როგორც ის, რომ ახალგაზრდა აზერბაიჯანელები რუსთავში ადნობენ ფოლადს, გლინავენ მილებს, რკინის ფურცლებს, მავთულს.

... ძნელია, თითქმის შეუძლებელიცაა ვიწინასწარმეტყველოთ, რომელი საქარხნო კოლექტივი გაიმარჯვებს შეჯიბრებაში — რუსთავის თუ სუმგაითის? ყოველ შემთხვევაში, ჩვენ კიდევ ბევრჯერ გავიგონებთ რუსთავის უმცროსი ძმის — სუმგაითის წარმატებებზე. მხოლოდ ორი წლის შემდეგ გადაიხდის სუმგაითი თავის პირველ ათი წლისთავს, ე. ი. ის ჯერ ათი წლისაც არაა, უკვე დევგმირი კია და დევგმირულ საქმიანობას ეწევა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრობის მდინარესთან

გეოგრაფიულ რუკებზე ამ გიჟმაჟ მდინარეს, ძველებურადვე, ისევ ფსოუ ეწოდება. კავკასიონის თოვლიანი კალთებიდან ზარითა და ღრიალით მიაქანებს იგი აქაფებულ ტალღებს შავი ზღვისაკენ და რუსეთისა და საქართველოს საზღვარს წარმოადგენს. წყალგაღმა მდებარეობს კრასნოდარის მხარის ადლერის რაიონი, გამოღმა — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაგრის რაიონი.

1953 წლის სექტემბრის პლენუმის დამთავრებისთანავე, ფსოუს გაღმა მდებარე ფრუნზეს სახელობის არტელის კოლმეურნეებმა მოუწოდეს მეგობრებს სოფელ ლესელიძის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან და, ჩაებნენ მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ორივე მხარემ იკისრა: ბოსტნეულის, თამბაქოს, ხორცის, რძის, კვერცხის, ხილის და ყველა იმ პროდუქტთა წარმოების გაორკეცება და გასამკეცება, რაც ესაჭიროებათ საბჭოთა ადამიანებს.

შემდეგ, სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან ჩამოვიდნენ დელეგატები — ყველაზე მცოდნე ოსტატები — მემინდვრეები, მებაღეები, მებოსტნეები, ჩამოვიდნენ წარჩინებული მწველავები, მეღორეები, მეცხენეები.

* * *

სისხამ დილით მიემურება ფრუნზეს სახელობის არტელში ადლერის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ალექსანდრე აკიმოვი. ზედ ზღვის პირას გამართულ სათბურში მას ხვდება აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი იანისი.

— როგორაა საქმე, ვალობოლა განსოვიჩ, — ეკითხება აკიმოვი, — გაგზავნეთ თუ არა კაცი? გაუგზავნეთ ქართველებს თესლი?

— ღამით დაბრუნდა პრიდანჩუკი, მეორე ბრიგადის ბრიგადირი, მთავარი მებოსტნე. მან მოიტანა კაროტინულ-ვიტამინური გოგრის თესლი, როგორც ამას ლესელიძელი კოლმეურნეები მოითხოვდნენ. რასაკვირველია, ვკითხე, კიდევ რაიმე ხომ არ სჭირიათ-მეთქი... პრიდანჩუკი ამბობს, ჩვენს მეგობრებს გადაუწყვეტიათ, საგაზაფხულოდ 50 ჰექტარზე დასთესონ ბოსტნეული — უმთავრესად კიტრი, პამიდორი და კომბოსტო.

— ორმოცდაათი ჰექტარი? — შეეკითხა აკიმოვი. — ამდენი თავისუფალი მიწა მათ არ უნდა ჰქონდეთ.

— რომელ თავისუფალ მიწაზე ლაპარაკობ! — შეეპასუხა იანისი. — მათმა თავმჯდომარემ დავით ერქვანიამ, დიდი ხანია, მიწის მცირეოდენი ნაჭერიც კი გამოიყენა. ის ძალიან მოხერხებული კაცია და საუცხოო აგრონომიც. მეწველი საქონლის უზრუნველსაყოფად მისი წინადადებით ხეხილის ბაღში — ხეებს შორის — გამოთესეს იონჯა და სამყურა. ამას ორმაგი სარგებელი მოყვა: ხეხილმა უხვი ნაყოფი მოისხა, ხოლო მეცხოველეობის ფერმებმა კარგი საკვები მიიღეს.

— არა, — განაგრძობდა იანისი, — ეს ორმოცდაათი ჰექტარი ახალია, ახლად ათვისებული. გაგრის მტს-მა ამოძირკვა ტყე, 60 სანტიმეტრზე გადააბრუნა მიწა, და აი, გაზაფხულზე ბოსტნებიც ექნებათ.

— პრიდანჩუკი დიდხანს ესაუბრა ბრიგადირებს კონსტანტინე ხურციძესა და ვიქტორ ბაჩილავას. მათი ბრიგადები ითვისებენ ახალ მიწებს, რაც იცოდა, გადასცა. ჩვენც გადავალთ წყალგაღმა.

შემდეგ აგრონომი აღმასკომის თავმჯდომარეს ხეხილის ახალი ბაღებისაკენ წაუძღვა. ეს ბაღები შემოდგომაზე გააშენეს ქართველ კოლმეურნეთა დახმარებით.

— ვალობოლა განსოვიჩ, მინდა გკითხოთ, და ჩემი შეკითხვა უცნაურად ნუ მოგეჩვენებათ, — ღიმილით გააფრთხილა აკიმოვმა. — მინდოდა გამეგო, ნუთუ ეს შესანიშნავი, თანამედროვე კეთილმოწყობილი ქალაქის მსგავსი სოფელი ლესელიძე შეიქმნა ჩვენს საკოლმეურნეო წლებში? მართლა ისე უდაბური ადგილი იყო აქ, თუ ყველაფერი ეს გაზვიადებულია?

— ო, აქ ხვლიკი კუდს ვერ მოიბრუნებდა, — ხალისით დაემოწმა იანისი. — ამ საუცხოო ბაღის ადგილას ულრანი ტყე იყო. აქა-იქ გაბნეულ ქოხმახებს დელფინის ქონით მბჟუტავი ჭრაქი ანათებდა. ახლა დაუჯერებელია, რომ აქ მოსახლე ადამიანები ცხოვრობდნენ ულექტრონოდ, რადიოსა და ველოსიპედის გარეშე... იცით, რამდენი ელექტროძრავი მუშაობს ახლა საკოლმეურნეო წარმოებაში? ოცდარვა! ეს ხუმრობა საქმე როდია!

საუბარში ჩაერივნენ სოფლელებიც — სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. გამოირკვა, რომ ცხოვრებას თავისი შესწორებები შეუტანია და უფრო გაუფართოებია შეჯიბრების ჩარჩოები. ახლა, არა თუ ყველაზე ახლობელი ორი მეზობელი, სტალინისა და ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეები მეგობრობენ, მუდმივად ეჯიბრებიან და ეხმარებიან ერთმანეთს. სოცშეჯიბრებაში ერთმანეთი გამოიწვიეს მდინარის ორივე ნაპირას განლაგებული მებოსტნეობისა და მერძეობის საბჭოთა მეურნეობების, მეფრინველეობის ფერმათა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებმა.

განთიადის სამშენებლო მასალათა ქარხნის კოლექტივმა მეტად მეგობრული კავშირი დაამყარა ადლერისა და სოჭის მშენებლებთან. მისი წარგზავნილები ყოველთვის მონაწილეობენ საწარმოო თათბირებში, შედიან კარიერებში, სადაც იღებენ ხრეშს, სილასა და სამშენებლო ქვას ფსოუს ახლოს აღმართული ახალი სანატორიუმებისათვის.

ამას წინათ მშენებლებმა განთიადში მეგობრებს საჩუქრად მიუტანეს სახერხი და ცემენტის წარმოების მოწყობილობანი. რუსი ინჟინრები და ოსტატები მონაწილეობას იღებდნენ ამ მოწყობილობათა მონტაჟსა და დადგმაში. შრომისათვის ხელფასი შესთავაზეს, მაგრამ მათ პროტესტი განაცხადეს: — ეს ჩვენს სამსახურებრივ მოვალეობაში არ შედის, ვაკეთებთ მეგობრობის გამო, როგორც მიღებულია ერთ ოჯახში, ხვალ თქვენ დაგვეხმარებითო.

და ეს ოჯახიც უფრო და უფრო იზრდება: აქ თავს იყრიან მასწავლებლები და პიონერები, რკინიგზელები და სანატორიუმების მუშაკები. და როცა კომკავშირის გაგრის რაიკომმა მოაწყო ახალგაზრდათა მომავალი საკავშირო ფესტივალისადმი მიძღვნილი „მეგობრობის დღესასწაული", მასში, რასაკვირველია, მონაწილეობას იღებდნენ საუკეთესო მომღერლები, მოცეკვავენი, მუსიკოსები ფსოუს კრასნოდარული ნაპირიდანაც. და აი, დღესაც, ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის კულტურის სახლში გამოდიან სოფელ ლესელიძის ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მომღერალთა ესტონური და სომხური გუნდები.

აკაშკაშდნენ პირველი ვარსკვლავები. ფეხქვეშ ჭრიალებს შავი ზღვის ამ სანაპიროზე ნაადრევად მოსული თოვლი. ყინვა სუსხავს ცხვირის წვერსა და ყურის ბიბილოებს. თოვლიანი მთებიდან მოვარდნილი ცივი ქარი მეგობრობის მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე ფანტავს რუსულ, ქართულ, აფხაზურ, ესტონურ და სომხურ სიმღერებს.

და მათ შორის, ვინც ახლა მიეშურება კულტურის სახლში, ბევრია ახლად ჩამოსულიც. ისინი ჩამოვიდნენ მდინარე სოჭის ხეობიდან. ესაა კაზაკური კრასნოდარის მხარის ქართული სოფლის — პლასტუნკის მხიარული ახალგაზრდობა.

— ჩამოდით ჩვენსას, — გვეუბნებიან ისინი. — ჩვენთანაც ბევრი რამაა საინტერესო!

რატომაც არა, მეგობრებო, ვისარგებლებთ თქვენი სტუმართმოყვარეობით!

ი. დუბინსკი

# თეატრის პრობლემები

გერონტი ქიქოძე

ის კამათი, რომელიც ბოლო დროს ჩვენშიც და რუსეთშიც საზოგადოდ ხელოვნების პრობლემების გარშემო მიმდინარეობს, აშკარად ამტკიცებს, რომ ჩვენს მოწინავე საზოგადოებას დიდი ესთეტიკური ამოცანები ისევე აინტერესებს და აღელვებს, როგორც დიდი სოციალური და პოლიტიკური ამოცანები. მაგრამ ვინც ამ კამათს თვალყურს ადევნებს, მას შეიძლება ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ ჩვენი თანამედროვე ხელოვნების თეორეტიკოსებს და მოყვარულებს თავგზა ეკარგებათ გაუვალ შამბნარში.

ავიღოთ მაგალითისათვის ფერწერა. დიდხანს რეპინის, სურიკოვის და შიშკინის თაყვანისმცემლები შეუზღუდველად ბატონობდნენ საბჭოთა კავშირის ხელოვნების მცოდნეებსა და კრიტიკოსებს შორის. ბოლო დროს, როგორც მოსკოვში, ისე თბილისში გაისმის ხმები, რომ საბჭოთა მხატვრებს ბევრი რამ შეუძლიათ ისწავლონ დიდი ფრანგი იმპერიონისტებისა — ედუარდ მანესა, კლოდ მონესა, რენუარისა და სხვებისაგან. ზოგიერთები კიდევ უფრო შორს მიდიან და, ილია ერენბურგის მსგავსად, ფიქრობენ, თანამედროვე ფერწერის უდიდესი ოსტატი პაბლო პიკასოაო.

კიდევ უფრო დიდი აზრთა სხვადასხვაობაა მხატვრული პროზის, დრამატურგიის, თეატრის სამყაროში. მრავალი ხელოვანის, მკითხველის და მაყურებლის ინტერესი და გემოვნება მერყეობს ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ტენდენციებს შორის, შოლოხოვსა და ფადეევს ჰემინგუეი და ლუ-სინი ენაცვლება, კალიდასას — ბერნარ შოუ ან ჩეხოვი და გორკი, ჩინეთის თეატრს — სტანისლავსკის თეატრი.

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართული თეატრი თითქო გამოდის მერყეობის სტადიიდან და გარკვეულ გზას ადგება. ის ცდილობს ორგანულად აითვისოს, რაც ჯანსაღი იყო დიდი ეკლეტიკური სულის რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის მშფოთვარე ძიებებში და ნელ-ნელა თავის ნაციონალურ ტრადიციებს უბრუნდება. ეს ტრადიციები კი რამდენიმედ განსხვავდება, როგორც აღმოსავლეთი აზიის, ისე რუსეთის და დასავლეთი ევროპის ტრადიციებისაგან. თუ გმირული თეატრი, რეალისტური და რომანტიკული ერთსა და იმავე დროს, ქართველ ხალხს უფრო უყვარს, ვიდრე რომელიმე ერს მსოფლიოში, ეს შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ მისი სამშობლოს ნათელმა და მაღალმა ცამ მას სიცოცხლე განსაკუთრებით შეაყვარა, ხოლო ტრაგიკულმა ისტორიამ ღრმა ჩაფიქრების თემები მისცა. ეს იშვიათი შემთხვევაა, რომ ასეთი ბედნიერი გეოგრაფია ასეთ შავბედით ისტორიასთან იყოს დაკავშირებული. ბრმა ბედისწერა და მის წინააღმდეგ ბრძოლა მთელი კაცობრიობის უკვდავი თემაა, ქართველი ერისათვის კი ის განსაკუთრებით მახლობელია.

თუმცა ქართულმა დრამატურგიამ დღემდე ვერ წარმოშვა თავისი შექსპირები და მოლიერები, მაგრამ ჩვენს თეატრს მაინც დიდად გულისხმიერი და მადლიერი აუდიტორია ჰყავს და ამ აუდიტორიას საკმაოდ გარკვეული გემოვნება აქვს. გმირული დრამატურგიის გვერდით მას უყვარს ყოფა-ცხოვრების ამსახველი პიესებიც, მხიარული კომედიებიც, მაგრამ ძნელია მისი მოწონების დამსახურება ნატურალისტური თეატრით, ან ინტიმური ფსიქოლოგიური განცდების, ან კიდევ ბუნდოვანი სიმბოლისტური დრამატურგიით, ერთი სიტყვით ისეთი რამით, რაც სცენაზე ადამიანს და მის ნამდვილ გრძნობებს ჩრდილს აყენებს ან ფერმკრთალად აჩვენებს. საერთოდ, ქართველი აუდიტორია სრულიადაც არ ამართლებს პესიმისტების რწმენას, რომ თეატრს სამწუხარო მომავალი აქვს, მას კინოხელოვნება ან რაიმე სხვა გასართობი მოჰკლავსო. ვერასოდეს კინოხელოვნება ვერ შესძლებს ისე სრულყოფილად გადმოსცეს ეპოქის ფილოსოფიური ძიებანი და მორალური ტენდენციები, როგორც მათ თეატრი გადმოსცემს, ამიტომ ვერასოდეს ის მისი მემკვიდრე ან შემცვლელი ვერ გახდება. და არსად ეპოქის მაჯისცემა ისე არ იგრძნობა, როგორც თეატრში, იმიტომ რომ აქ ხელოვნება გველაპარაკება არა მარმარილოს, ბრინჯაოს და საღებავების, არამედ ცოცხალი ადამიანის მთრთოლვარე ხმით.

თქვენ გინდათ გაიგოთ, როგორი იყო ანტიკური ეპოქის ბერძენის რწმენა, მგრძნობიარობა, აზროვნება და ცხოვრების სტილი. ამისთვის, უწინარეს ყოვლისა, მიმართავთ დიდი ათენელი დრამატურგების ტრაგედიებსა და კომედიებს. მისტერიების თეატრი, რომელიც დღემდე ცოცხლობს დასავლეთი ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მეტს გეტყვით შუა საუკუნეების ფართო მასების გონებრივ ინტერესებზე, ვიდრე თეოლოგების და სქოლასტიკოსების ნაწერები. ძნელია დღეს ჯორდანო ბრუნოს და ბეკონის ფილოსოფიური ტრაქტატების წაკითხვა; შექსპირის ტრაგედიებისა და კომედიებიდან კი რენესანსის ეპოქის ადამიანის ხმა გვესმის, თითქოს ის სულ ახლოს იდგეს ჩვენს გვერდით.

ხშირად დიდი სოციალური და პოლიტიკური ბრძოლები თეატრის ფიცარნაგზე გამართულა, სანამ ის ფართო საზოგადოებაში ან ქუჩაში გადავიდოდა. მოლიერმა გზა გაუკვალა ვოლტერსა, დიდროსა და რუსოს, ბომარშემ — 1789 წლის სანკიულოტებს, ჰიუგომ — 1830 წლის ივლისის და 1848 წლის ბარიკადების მებრძოლებს. „ტარტიუფი“, „ფიგაროს ქორწინება“, „ჰერნანი“ მათმა თანამედროვე საზოგადოებამ ისე მიიღო, როგორც თამამი მოწოდება ხელოვნების გაახლებისა და საზოგადოებრივი რეფორმებისკენ. და თვით მაშინ, როდესაც ავტორის მსოფლმხედველობა შედარებით ნაკლებ რადიკალური ან ბუნდოვანი იყო, აუდიტორია ლამობდა მასში რევოლუციური პათოსი შეეტანა. ასე ხდებოდა საქართველოში რევოლუციამდე შილერის, გუცკოვის, იბსენის პიესების დადგმის დროს.

რა მიმართულებითაც უნდა წავიდეს თანამედროვე თეატრის განვითარება, წავა ის მონუმენტალური სინთეზის გზით, თუ სახალხო თეატრის ფიცარნაგს დაუბრუნდება, შემოიზღუდება ის დარბაზის კედლებით, თუ ღია ცისქვეშ გამოვა, დრამატურგი და მსახიობი მასში ყოველთვის გადამწყვეტ როლს შეასრულებენ. ცნობილია, აგრეთვე, რა დიდი როლი ეკუთვნის აუდიტორიას. რაც შეეხება დეკორატორი მხატვრის და კომპოზიტორის მნიშვნელობას, ის ცვალებადია ეპოქის მოთხოვნილების მიხედვით, ხან მატულობს და ხან კლებულობს.

უკანასკნელ წლებში ქართველ საზოგადოებას შეიძლებოდა ჩვენებოდა, რომ ჩვენს თეატრში ზოგიერთი რეჟისორი თითქო ერთპიროვნული დიქტატურისკენ მიისწრაფვოდა. ეს არ ეგუებოდა ქართული თეატრის საღ ტრადიციებს. არც გიორგი ერისთავი და არც ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია და სხვები თეატრის დიქტატორები არ ყოფილან, ისინი მხოლოდ მისი იდეური ხელმძღვანელები და ორგანიზატორები იყვნენ. რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში კოლექტივის როლი გაიზარდა როგორც ეკონომიური ცხოვრების, ისე სულიერი კულტურის სფეროში და მასთან ერთად გაიზარდა ორგანიზატორის როლიც.

ზოგიერთი რეჟისორის დიქტატორულ მისწრაფებებს დაერთო ის, რომ დადგმის დროს გადაჭარბებული მნიშვნელობა მიენიჭა პედანტურად მკაცრ მიზანსცენას, დეკორაციას, მუსიკალურ თანხლებას, ელექტროგანათების ეფექტებს, ერთი სიტყვით, დიდად მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც შემავალ ელემენტებს, რომელნიც თუ ზომიერად არ გამოვიყენეთ, აკნინებენ მსახიობის ფიგურას და მას ხელს უშლიან თავისი ინდივიდუალობა და შემოქმედებითი ნიჭი თავისუფლად გამოამჟღავნოს. არც ეს ეთანხმება ქართული თეატრის საუკუნეობრივ ტრადიციას. ქართველ მაყურებელს სცენიდან უფრო ადამიანის გმირული სული აღელვებს, ვიდრე ცადაბჯენილი მთის მწვერვალები, კიბეები, რომელთაც არსად მივყავართ, მეტნაკლებად გონებამახვილი კონსტრუქციები და ელექტრომაშუქების ლივლივი.

ცნობილია, რომ ზოგიერთი დიდი მსახიობი ხანდახან დრამატურგის შემოქმედების თანამოზიარე ხდება. ჩვენი ვასო აბაშიძე ხშირად უგულვებელყოფდა მდარეხარისხოვანი კომედიების ტექსტს და თავისი საკუთარი გონებამახვილი რეპლიკებით მას უფრო შინაარსიანს ხდიდა. ნინო ჩხეიძემ უმნიშვნელო მელოდრამას „უბედურ ნაბიჯს“ თავისი ორიგინალური შესრულებით ძირითადი მორალური ტენდენცია შეუცვალა და ის თანამედროვე ქალის ტრაგედიად აქცია. რასაკვირველია, ყოველ მსახიობს ვერ მოვთხოვთ, რომ ის დრამატურგის თანაშემოქმედი და შემსწორებელი გახდეს, მაგრამ თუ ის იძულებული იქნა პედანტურად გაჰყვეს ავტორის რემარკებს და რეჟისორის მითითებებს, მას გაუჭირდება კონტაქტი დაამყაროს აუდიტორიასთან, რომელსაც ყოველთვის შემოქმედების ცეცხლის დანახვა უყვარს და, ძველი დროის რომაელების მსგავსად, ტაშს უკრავს მომაკვდავ გლადიატორებს.

რადგან ჩვენ ბოლოს და ბოლოს მაინც უფრო კაცთმოყვარენი ვართ, ვიდრე ნერონის და კალიგულას დროის რომაელები იყვნენ, ჩვენ გვირჩევნია, რომ მსახიობი ძველ ბერძენივით ზომიერი იყოს ტანჯვის და სიხარულის გამოხატვაში. ჩვენთვის აუტანელია მასობრივი სისხლის ღვრა სცენაზე, ჩვენ ვფიქრობთ, თუ დრამის განვითარება მოითხოვს, რომ მსახიობმა თვალები დაითხაროს ან თავი ჩამოიხრჩოს, უმჯობესია ეს კულისებში მოახდინოს და არა ავანსცენაზე. ჩვენ გვსურს თეატრიდან ქვემეხებით გაყრუებული და შეშფოთებულ კი არ გამოვიდეთ, არამედ ძველ ბერძნებივით განწმენდილნი და ამაღლებულნი.

სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ განახლება ჯერ ბათუმის, ხოლო შემდეგ თბილისის სცენაზე დიდად ნიშანდობრივი და საგულისხმიერო მოვლენაა. პირველად ეს ტრაგედია თბილისში ამ ორმოცი წლის წინათ დაიდგა. თუმცა მთავარ როლის შემსრულებელს, სახელოვან ტრაგიკოს მსახიობს ალექსანდრე იმედაშვილს ღირსეული პარტნიორები ჰყავდა, რეჟისორის მუშაობაც დიდად დამაკმაყოფილებელი იყო, „ოიდიპოს მეფეს“ მაშინ მაინც ისეთი გამოხმაურება არ გამოუწვევია, როგორსაც დღეს იწვევს. ამჟამად თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში „ოიდიპოს მეფე“ კვირაში რამდენჯერმე იდგმება ოდნავ შეცვლილი შემადგენლობით და მაყურებელთა დარბაზი ყოველთვის სავსეა.

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში „ოიდიპოს მეფეს“ რამდენიმე პირველხარისხოვანი შემსრულებელი ჰყავდა დასავლეთ ევროპაში. არ ვიცით, სრულდება თუ არა დღეს სოფოკლეს ტრაგედია სადმე. მხოლოდ ძნელი წარმოსადგენია, რომ სადმე დედამიწის ზურგზე არსებობდეს დიდი ან პატარა ერი, რომელსაც შეეძლოს ხუთი პირველხარისხოვანი მსახიობი და ორისამი საუცხოო კოლექტივი გამოჰყოს სოფოკლეს ტრაგედიის შესასრულებლად, როგორც ეს საქართველომ შესძლო. ეს აიხსნება არა მარტო ქართველი ხალხის სიყვარულით თეატრისადმი და არა მარტო ქართველი მსახიობების ნიჭით, არამედ ჩვენი ქვეყნის საუკუნეებრივი ტრადიციებითაც.

ელინურ, ელინისტურ და რომაულ ეპოქაში, როდესაც კაცობრიობის კულტურას წინა აზია, საბერძნეთი და იტალია მეთაურობდნენ, იბერიასა და კოლხეთს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ამ ქვეყნებთან. არმაზსა, უფლისციხესა, ურბნისსა, არქეოპოლისსა, დიოსკურიაში მაღალი საზოგადოების წრეებისათვის ბერძნული და ლათინური ენები კულტურისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაქტორები იყო. საფიქრებელია ამ ქალაქებში დიდი ანტიკური ტრაგიკოსების და კომედიოგრაფების პიესებსაც ასრულებდნენ. ამ წარმოდგენებს ალბათ ესწრებოდა მდაბიო ხალხიც, რომელსაც ბერძნული და ლათინური ენა ხუსტად ეცოდინებოდა, მაგრამ მისთვის გასაგები იქნებოდა საყოველთაოდ გავრცელებული მითოსების შინაარსი და ღრმა ადამიანური ვნებების ენა.

მარკ კრასის ბიოგრაფიაში პლუტარქე მოგვითხრობს, პართიელების მეფე ჰოროდი 53 წელს (ქრ. წ.) დაუმოყვრდა სომხეთის მეფეს არტავაზდ II და მას ესტუმრა მის სატახტო ქალაქ არტაქსატაში. ამ დროს რომაელების ლეგიონები იულიოს კეისრის და პომპეუსის თანამმართველის მარკ კრასის მეთაურობით ომს აწარმოებდნენ პართიელების წინააღმდეგ. კრასი სასტიკად დამარცხდა, მტერს ხელში ჩაუვარდა და მას თავი მოსჭრეს. რომაელი ტრიუმვირის თავი პართიელმა მხედარმა პომაქსაფრმა არტაქსატის სამეფო დარბაზში სწორედ იმ დროს შეაგდო, როდესაც სომხეთის და პართიის მეფეებსა და მათ თანამეინახეებს ნადიმი დასრულებული ჰქონდათ და ტრაგიკოსი მსახიობი იაზონ ტრალიანელი მათ ლექსებს უკითხავდა ევრიპიდეს ტრაგედიიდან „ბაქხელი ქალები“. მსახიობმა ხელში აიღო რომაელი ტრიუმვირის თავი, ბაქხური ექსტაზით განიმსჭვალა და ხოროს შეკითხვაზე, ვინ მოჰკლა იგიო, უპასუხა, ეს პატივი მე მეკუთვნისო. მაშინ ჰომაქსაფრი მივარდა და ხელიდან გამოსტაცა კრასის თავი იმის ნიშნად, რომ ეს სიტყვები უფრო მას შეეფერებოდა. არტავაზმა, რომელიც თვითონ სწერდა ტრაგედიებსა და ისტორიულ თხზულებებს, პართიელი მხედარი უხვად დააჯილდოვა, ხოლო იაზონს ერთი ტალანტი ვერცხლი უბოძა.

უნდა ითქვას, რომ ეს პირქუში სცენა უფრო შეეფერება აღმოსავლური დესპოტების ნადიმებს, ვიდრე ელინური ტრაგედიის სულს; და დარწმუნებული ვართ, რომ არც სომეხი და არც იბერიელი ან კოლხელი მსახიობებისთვის საჭირო არ იყო ახლად მოჭრილი კაცის თავი, რათა მათ ტრაგიკული ექსტაზი განეცადათ. განსაკუთრებით პრომეთეს, ამორძალების, არგონავტების, მედეას ლეგენდები, რომელნიც კავკასიასთან იყვნენ დაკავშირებული და ძველი ბერძნული პოემების და ტრაგედიების რჩეულ თემებს წარმოადგენენ, მახლობელი იქნებოდნენ მათთვის: მათი დეკლამაციის და განსახიერების დროს ისინი ნაწილობრივ ეროვნული ტრადიციების და წარმოდგენების წრეში იტრიალებდნენ. და აი ამ ტრადიციების და წარმოდგენების წრემ აღორძინება განიცადა ჩვენ თვალწინ.

დააკვირდით ოიდიპოს მეფის, იოკასტეს, კრეონის, ტირეზიას და სხვათა როლების ქართველ შემსრულებელთა სახეებს, გაიხსენეთ მედეას და ანტიგონეს განსახიერება ჩვენს სცენაზე და დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ თითქო ანტიკური პლასტიკის აღორძინების მოწმენი ვხდებით. თითქო ბარბაროსთა ტალღებს ამაოდ ულოკავს ძველი ბერძნული მარმარილო: ჩვენს გამოჩენილ თანამედროვე მსახიობებს შეურყვნელად შეუნარჩუნებიათ ანტიკური პროფილი, როგორც შეურყვნელია ანტიკური სტელა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ზღვიდან ამოიღეს სოხუმის სანაპიროს მახლობლად. ბოლოს შედით რუსთაველის სახელობის თეატრში, შეუერთდით იმ აუდიტორიას, რომელიც სულმოუთქმელად თვალყურს ადევნებს ოიდიპოს მეფის ტიტანურ ბრძოლას ბედისწერასთან ანუ ყოვლისშემძლე მოირასთან, რომელსაც თვით ღმერთებიც ემორჩილებიან, და თქვენ დამეთანხმებით, რომ ეს დიდი ტრაგედია დღესაც კათარზისს ანუ მაყურებლის სულის განწმენდას იწვევს, თუმცა ის ოცდაოთხი საუკუნის წინაა შექმნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხანა. მჭედელი კ. ილურიძე





სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში.

ჩანახატები მხატვარ **ალ. ბანძელაძისა.**





ელექტრონული
ბიბლიოთეკა



სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხანა. მოწინავე დურგლები მ. სანდაროვი და ს. ქარსელაძე.

შეკეთებული ვაგონები



მაცვალა მრევლიშვილი

*
* *

„ლიხს იქით წყარო
რა ტკბილი ხარო“ —
გაქეს, გავბრიყვდი:
მართლა ტკბილია?!
არა მრცხვენია მუხლთ
მოვიყარო,
მაგრამ ..
გვიანი
ზამთრის პირია...
ჰყინავს წიფასთან?
ჰყინავს, ძვირფასო,
ნაკადებს აკრავს
ვერცხლის ძაფები...
გაზაფხულზე კი შორს
შორს დაგრჩები
და ვერასოდეს დაგეწაფები.

### ხუთი თითი

საკერავზე დავიჩხვლიტე ხუთი თითი,
გუშინ შენ რომ გატაცებით მიკოცნიდი.

თურმე იყვნენ სათუთობას უჩვეენი, და
გადაედოთ სიტკბო შენი ტუჩებიდან..

გუშინდლიდან ნებივრობენ განაზებით
ეს თითები, არცთუ ისე ლამაზები.

რას ერჩოდი, ჩემი ბედის ნიავქარო,
საკერავი ველარ უნდა მივაკარო?!.

### კ ე ნ ჭ ე ბ ი

ბავშვურად ვირჯები:
ვაგროვე, ვარჩევდი,
სახლამდე მივზიდე წვალებით,
ბოლოს გადავყარე, —
არ მომწონს არც ერთი,

მანამდე სად მქონდა თვალები!
ნაპირის ტალღებში
რომ ჩანდა ჭრელ-ჭრელი,
სველ-სველებს დავხარბდი, სულელი,
გაშრნენ,
და შემომრჩა ნაცარა კენჭები, —
ერთფეროვანები სრულებით.

რა უფერულები რჩებიან,
კენჭები, როდესაც შრებიან.

ალ. მჳრკოჳი

### შენდამი

ს. ქ.

როდესაც დაღლას ვგრძნობ და სევდა მაღონებს, —
მე შენი თვალები მმატებენ ძალ-ღონეს!
თვალები ზღვისფერი, როცა არ მცილდება —
ვხარობ, როს გიცქერი, მოწყენა მცირდება!

ჰა, ჩემი ცხოვრება, — მღელვარე წარსული,
უბრძოლო დღეებიც — წვალებით წასული.
სადა ვარ, მოსკოვში, თუ თეირანში ვარ,
ვერ ვხვდებით ერთმანეთს, მე ამის დარდში ვარ!

ზოგჯერაც, როს გნახავ, — ვიჩქარი მაშინაც,
ვინ იტყვის საყვედურს, მტყუანი რაში ვართ?!
სადგურში, რამდენჯერ მწარე ბედს ვედავეთ,
გულღიად, უსიტყვოდ დავცილდით ერთმანეთს!

იმ შეხვედრებით და იმ გაცილებებით
დრო გაქრა, დღეებიც მოგვწყდა, ვით ცრემლები!
ერთხელაც ვერ შევძლეთ ბაასი ტოლებში,
მშვიდად ვერ ჩაგხედე მაგ თვალთა მორევში!

ძვირფასო, ნუ იტყვი, განა სულ ერთია?
უთუოდ ბედია, ვერ მოვრჩი ხეტიალს!
ერთმანეთს შევხედოთ, ნუ დახრი წამწამებს
და ლურჯი თვალები ალერსით დამწვავენ!..

თარგმანი კალე ბოგოხიძისა

# დმანისის ყველის ქარხანაში

დმანისის რაიონი მაღალმთიანია. ხორბლის, ქერის, შვრიის, სიმინდის, კარტოფილის, ბუნებრივი და ნათესი ბალახების დასათესი ფართობების უდიდესი ნაწილი მდებარეობს უსწორმასწორო რელიეფზე, რომელიც ზოგჯერ 25 გრადუს დაქანებას აღწევს.

ამ რაიონში არის ათასობით ჰექტარი ბუნებრივი სათიბები, რომელზედაც საუკეთესო საკვები ბალახი მოდის. ამიტომ ბუნებრივია, ამ რაიონში ძირითადად მეცხოველეობას მისდევენ და დიდი რაოდენობითაც ჰყავთ, როგორც მერძეული პირუტყვი, ისე ცხვარი და ღორი. ამასთანავე ამრავლებენ ჯიშიან პირუტყვის სულადობას, ზრდიან პროდუქტიულობას. მაგალითად, გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 1150 ლიტრი რძე, რაც აღემატება წინა წლების ყველა მაჩვენებლებს.



პირუტყვის პროდუქტულობის გადიდების საქმეში უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს სოფელ ჯავახის ძე-1/ პარტყრილობის, სოფელ კიზილ ქილის ბუდიონის სახელობის, სოფელ უსენქიანის, კიროვის და გომარეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც ადგილობრივ გაუმჯობესებულ ჯიშის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1500 ლიტრი რძე მიიღეს.

წინათ ამ რაიონში პრიმიტიული წესით ამზადებდნენ ყველს, კარაქს, ერბოს და ნადუღს. ასეთი წესით დამზადებული პროდუქტი არ იყო ხარისხიანი, ხშირად ადგილი ჰქონდა რძის გაფუჭების შემთხვევებს, და რაც მთავარია, ამ პროდუქტების დამზადებაზე დიდძალი შრომადღე იხარჯებოდა.

რძისაგან ყველის, კარაქისა და ერბოს დასამზადებლად ამ სამი წლის წინათ აშენდა ძის გადასამუშავებელი ქარხანა, რომელიც აღჭურვილია საუკეთესო მანქანა-დანადგარებით.

ქარხანაში, სადაც შრომატევად სამუშაოებს მექანიზმები ასრულებენ, მაღალხარისხოვან რამდენიმე ხარისხის ყველს, კარაქს და ერბოს ამზადებენ.

ქარხანაში სპეციალური დანადგარების საშუალებით რძის ნარჩენებიდან ამზადებენ შაქრის ფხვნილს, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს საბჭოთა მედიცინაში.

გარდა ამისა, რძის ნარჩენებით კვებავენ ღორებს. რძის ნარჩენებით წელს ასი ღორი გაასუქეს და მარტო ნამატის სახით სამი ათას კილოგრამზე მეტი ხორცი მიიღეს.

ამ ქარხანაში დამზადებულ საბჭოთა ყველს, რომლის თვითეული თავი 60 კილოგრამს იწონის, მაღალ შეფასებას აძლევს მომხმარებელი. ამიტომაცაა, რომ ქარხანა უკვე ორი წელიწადია საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად ითვლება მაღალი ხარისხის პროდუქტების დამზადებისათვის.

ქარხანას საუკეთესოდ მოწყობილი ლაბორატორია აქვს, სადაც მიმდინარეობს რძის ცხიმიანობის შემოწმება.

ქარხანა ყოველწლიურად 250 ტონაზე მეტ რძეს



ამუშავებს. რძის გადამუშავების საქმეში ქარხანა დიდ დახმარებას უწევს, აგრეთვე, ბოლნისის, გარდაბნის, მარნეულის და საგარეჯოს რაიონების კოლმეურნეობებს, როცა მათი პირუტყვი საზაფხულო საძოვრებზე იმყოფება.

ქარხანა ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას და აღწევს ათასეული მანეთის ეკონომიას. ამის შედეგად ქარხანა მეორე წელიწადია ინარჩუნებს საქართველოს ხორცისა და რძის სამინისტროს გარდამავალ წითელ დროშას.

გიორგი ჩაჩანიძე

ინჟინერ-მექანიზატორი

ფოტო ს. ონანოვისა

# წითელი მიხაკი

ნანა კანდელაკი

მოთხრობა

მხატვარი კ. მახარაძე

უკანასკნელ გამოცდამდე თითზე დასათვლელი დღეებია დარჩენილი. მერე კი... დაიწყება სრულიად ახალი და დამოუკიდებელი ცხოვრება. სტუდენტური წლები უკან დამრჩება... რამდენი ახალი რამ მელის, გამოუცდელი და ჯერ არნახული!.. — ახლად გამოღვიძებული ამაზე ვფიქრობდი, როცა დერეფნიდან ხმამაღალი ლაპარაკი მომესმა:

— ოცდახუთი ათასი გადმოურიცხეს?! ეს, ალბათ, შეცდომაა...

— იგი უდედმამოა, უნათესაო... უპატრონო ბავშვთა სახლშია გაზრდილი. აბა, საიდან უნდა იყოს ასეთი თანხა?!

— რა თქმა უნდა, შეცდომაა!

კარები გაიღო და ოთახში საერთო საცხოვრებლის კომენდანტი, ძია ნიკო, შემოიჭრა. მას სხვებიც შემოყვნენ.

— ქაჯან, გაიღვიძე!.. — ჩამყვირა მან.

ლოგინიდან წამოვიწიე.

— ოცდახუთი ათასი გაქვს მისაღები. ადექი, გაიქეცი შემნახველ სალაროში, — განაგრძო ძია ნიკომ და შუბლზე ჩამოსული აწეწილი თმა ალერსით გადამიწია.

— სრულიად უადგილო ხუმრობაა! — გავჯავრდი მე.

— რად ცხარობ, მამაშვილობას!.. აგერ, უწყება მოგივიდა. შეცდომა რომ არის, ამაში არავის ეპარება ეჭვი, მაგრამ საქმეს ხომ უნდა მოგვარება? რაკი ორეული გყოლია, ამგვარი უსიამოვნებანი ბევრჯერ შეგემთხვევა კიდევ. ხდება კი... სასწაული!... გვარი, სახელი, მამის სახელიც კი, ერთი სიტყვით, წერტილ-წერტილ და სიტყვა-სიტყვით ყველაფერი ზუსტად ერთნაირი გქონიათ... ოცდახუთი ათასი!. ჰმ, კარგია მე და ჩემმა ღმერთმა!... შენი რომ იყოს, ბევრ რამეს შეიძენდი. დაიჭი უწყება, არ დაკარგო...

ძია ნიკომ სინანულით ახედ-დახედა უწყებას, ხელში მომაჩეჩა, თანაგრძნობით ისევ გადამისვა ხელი თავზე და შემოსულებს ოთახიდან გასვლა თხოვა.

უწყებას საჩქაროდ გადავავლე თვალი. მისამართი, გვარი, სახელი და მამის სახელი ჩემი იყო, მერე ეწერა, რომ ოცდახუთი ათასი მანეთი გადმომეგზავნა შემნახველ სალაროდან მოქალაქე ივანე ჯანაშვილის ანდერძის თანახმად, მისი გარდაცვალების შემდეგ.

თვალი დამიბნელდა. იმ წუთში მომეჩვენა, თითქოს გული გამიჩერდა და დაუძლურებული სადღაც მივექანებოდი. თავი ვეღარ შევიკავე და ყრუ კვნესა დამცდა.

ყველანი ჩემსკენ მობრუნდნენ.

— წყალი! — დაიყვირა ძია ნიკომ და შეშინებულმა შემანჯღრია. — რა მოგეჩვენა, შვილო, გაგონილა ასე?

წყალი დამალევინეს. გააღეს ფანჯარა. გრილმა სიომ გამომაფხიზლა. ტკივილს კი მაინც ვგრძნობდი გულის სიღრმეში. უწყება მკერდში ჩავიკარი და მწარედ ავქვითინდი.

— რატომ ტირი? იცნობთ განა იმ კაცს? — ხმადაბლა შემეკითხა ძია ნიკო.

მე თავი დავუქნიე და კვლავ მოვსვი წყალი. ძალა არავის დაუტანებია, მაგრამ თვითონვე მოვინდომე საიდუმლოების გახსნა. დარწმუნებული ვიყავი ამ თხრობით, ოდნავ მაინც შევიმსუბუქებდი ჯავრს, ლოდივით რომ მაწვა გულზე...

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ზღვის პირას ვისვენებდი. ზღვაში ბანაობა აკრძალული მქონდა. ჩემთვის აუცილებელი იყო მხოლოდ ზღვის ჰაერზე ყოფნა. დილიდან საღამომდე ჩრდილში ვიჯექი, გავსცქეროდი ზღვას და თავს წიგნებით ვირთობდი. მალე თვალი მოვკარ შუახნის თმაშევერცხლილ მამაკაცს, ისიც ჩემსავით ჩრდილში თავშეფარებული მხოლოდ შორიდან ადევნებდა თვალს ზღვაში მობანავეთ.

ყოველ დილით საუზმის შემდეგ, მე და ეს კაცი, მოლაპარაკებულებივით ერთდროულად მივდიოდით სანატორიუმის ბაღში, და სადილობამდე უბრად ვისხედით ერთმანეთის ახლოს მდგარ მერხებზე. მამაკაცი სიტყვა-ძუნწი გამოდგა. შეხვედრისას მხოლოდ თავაზიანად თავს დამიკრავდა, დანარჩენ დროს კი დუმდა. ბევრს კითხულობდა, ტკბებოდა ზღვის ცქერით და ერთხელაც არ გამოიხედავდა ჩემსკენ. ძალზე მოწყენილი ვიყავი, გულით მსურდა გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ რაკი თვითონ ამის საბაბს არ იძლეოდა, უხერხულად მიმაჩნდა პირველს გამომეჩინა სითამამე და მეც ხმას არ ვიღებდი.

ასე გასტანა თითქმის ათ დღეს.

ამ კაცის გვარი ჯანაშვილი იყო. მანქანათმშენებლობის დიდი სპეციალისტი ყოფილა. მუშაობდა ურალში, სადაც, კარგა ხანია, დასახლებულიყო.

ერთ დღეს ჩემი უცნაური ნაცნობი არ გამოვიდა ბაღში. თითქმის ერთ საათს ველოდე, არ გამოჩენილა. „ალბათ საგზურის ვადა გაუთავდა და წავიდა-მეთქი", გავიფიქრე და რატომღაც გული დამწყდა. მარტოდ ყოფნა აღარც კი მესიამოვნა, წამოვდექი და ბაღში ხეტიალი დავიწყე. გზაში მორიგე ექიმი შემხვდა.

— სეირნობთ? — შემაჩერა მან. — მოგწყინდათ, ალბათ, მარტო ყოფნა. ჯერჯერობით მოგიხდებათ უმეზობლოდ სეირნობა. ჯანაშვილს წუხელის გულის შეტევა ჰქონდა და ცოტა შეუძლოდ გახლავთ.

— გულის შეტევა ჰქონდა?! როგორ, მას გულის ავადმყოფობა აქვს?

— დიახ, მძიმე ავადმყოფია... მაგრამ, ახლა უკვე საგრძნობლად უკეთ გრძნობს თავს. თუ გნებავთ, მიგაცილებთ მის პალატამდე. შეგიძლიათ — ინახულოთ.

— ახლა ვსეირნობ, ცოტა ხნის შემდეგ მე თვითონ მივალ, — მოვიმიზეზე დაბნეულმა, რადგან მომერიდა და ვერ ვთქვი, ერთხელაც რომ არ ვიყავი გამოლაპარაკებული ჯანაშვილთან. ისევ განვაგრძე სეირნობა. შემთხვევით მებაღეს წავაწყდი. იგი დიდი მაკრატლით ყვავილებსა და ბუჩქებს ასწორებდა. გამოველაპარაკე.

მებაღე ენაწყლიანი მოხუცი გამოდგა. მასწავლა მაკრატლის ხმარება და მთელი ბაღი შემომატარა. გულდასმით ამიხსნა, თუ რომელი ყვავილი რა მოვლას საჭიროებდა. შემდეგ წითელი მიხაკის კარგი თაიგული მიძღვნა და მთხოვა, ჩემი ბაღის ხშირი სტუმარი გახდიო.

თაიგულით სანატორიუმისაკენ გავემართე. ის იყო ზღვისკენ დავეშვი, ხეებს შუა ჯანაშვილის ჭაღარას მოვკარი თვალი. თვითონაც არ ვიცი, რატომ გამიხარდა მისი დანახვა. სულ გადამავიწყდა ჩვენი უცნაური დამოკიდებულება და ძველი ნაცნობივით შეთამამებული სირბილით გავექანე მისკენ.

— ადექით? უკეთ ხართ? — გავეხმაურე შორიდანვე.

— დიახ, ავდექი. ასე ვამჯობინებ... ჰაერზე ყოფნა მირჩევნია, — დინჯად გამომეპასუხა იგი და ჩემს თაიგულს მიაჩერდა. — გიყვართ მიხაკი?

— მე ყველა ყვავილის თაყვანისმცემელი ვარ, — ღიმილით ვუთხარი. — თქვენ?

— მიხაკი მაინც სულ სხვაა... ერთ ყვავილს თუ შეელევით, მადლობელი ვიქნებოდი.

— ინებეთ... ერთი, ორი, რამდენიც გნებოთ, — საჩქაროდ ვთქვი და რამდენიმე მიხაკი ამოვურჩიე თაიგულიდან.

— ექიმმა გადმომცა, გიკითხავართ... მე კი სახელიც არ ვიცი თქვენი, მადლობა რომ გითხრათ.

გამეცინა, არაფერი ვუთხარი და თაიგულში ჩავმალე სახე.

— გეცინებათ? არაფერი მეთქმის, მართალი ბრძანდებით. გარიყულობა მახასიათებს, დიახ... წლებმაც დაღი დამასვეს. მუშაობთ უკვე, თუ ჯერ კიდევ სწავლობთ?

— ერთი წლის შემდეგ კონსერვატორიას დავამთავრებ. საფორტეპიანო ფაკულტეტზე ვსწავლობ.

მან ჩემი თითები შეათვალიერა და ცნობისმოყვარეობით მკითხა:

— სად აპირებთ მუშაობას?

— სად? ყველგან... მინდა მთელი საბჭოთა კავშირი შემოვიარო.

— ო, მოგზაურობაზე საინტერესო არაფერია. კარგი გადაწყვეტილებაა... მაგრამ, საინტერესოა, რა აზრისა არიან ამაზე თქვენი მშობლები?..

— მე... მე არავინ მყავს, — გავეპასუხე მცირე დუმილის შემდეგ. — მე სულ მარტო ვარ...

ჯანაშვილმა თანაგრძნობით შემომხედა. მერე თავი დახარა, მიხაკის ფურცლებს დაუწყო გასწორება და ძალზე ხმადაბლა შემეკითხა:

— როიალი ხომ გაქვთ?

— საერთო საცხოვრებელში სტუდენტები ყველაფრით ვართ უზრუნველყოფილი. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ამხანაგის მშობლები მპირდებიან შეკეთლებას. მათ როიალიც აქვთ... მერე კი... ვიმუშავებ და საკუთარს შევიძენ... თქვენზე მითხრეს, ურალში ცხოვრობსო, — ვცადე საუბრის გამოცვლა, — იქ ხომ მკაცრი ზამთარი იცის, სიცივეებს თუ შეეჩვიეთ?

— შევეჩვიე...

— თქვენი სურვილით გაემგზავრეთ ჩრდილოეთში სამუშაოდ?

— აი, ამ ყვავილმა გადაწყვიტა ჩემი ბედი, — თითქოს გულის ტკივილით წარმოთქვა და უმალვე დაუმატა: — მაგრამ არ ვნანობ. კარგი მხარეა, ლამაზი. ხალხიც კარგია.

— ყვავილმა გადაწყვიტა თქვენი ბედი?! წითელმა მიხაკმა?!

მას გაეღიმა.

— ამბავი დაკავშირებულია, ალბათ, თქვენს წარსულთან... — გაუბედავად შევნიშნე და სახეში მივაჩერდი. რატომღაც გულით მომინდა საუბარი ამ ადამიანთან და თან ვშიშობდი, შეკითხვებით თავი არ მოვაწყინო-მეთქი. გავჩუმდი.

მანაც შემომხედა, მერე მიხაკი დაყნოსა და ისევ გაეღიმა.

— ახალგაზრდები ცნობისმოყვარენი ხართ. გინდათ ყველაფერი იცოდეთ... გატყობთ, გაინტერესებთ წითელი მიხაკის ამბავი.





— ძალიან. რა თქმა უნდა, თუკი ეს საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

— მერედა თხრობის ოსტატი რომ არ ვარ... — მითხრა მან ოხვრით, დიდხანს მიაშტერდა მიხაკს და მოულოდნელად ლაპარაკი დაიწყო.

— ეს დიდი ხნის ამბავია... საერთოდ კი გადაწყვეტილი მქონდა, არავისთან კრინტი არ დამეძრა ამის შესახებ. ახლა კი, არ ვიცი, მიხაკის ნახვამ გამიღვიძა წარსულის მოგონების სურვილი, თუ თქვენმა შეკითხვამ... გარდა ამისა, თვითონ თქვენ რაღაცით მაგონებთ ამ წარსულს... ღიმილით, თითქოს თვალებითაც... მაგრამ ვგონებ, ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფია... დიახ, დიდი ხნის ამბავია... ახალგაზრდა ვიყავი მაშინ. სტუდენტი, ინჟინრობაზე ვოცნებობდი. ჩვენს ჯგუფში სამი ქალი იყო. დანარჩენები ვაჟები ვიყავით. ყველანი ძალიან მეგობრობდნენ ჩვენს ქალებს. ერთი მე ვიყავი, გარიყულად რომ მეჭირა თავი. ბოლო მერხზე ვიჯექი და იქიდან თვალყურს ვადევნებდი ამხანაგებს. ვსწავლობდი კარგად, მაგრამ მუდამ მარტო ვმეცადინეობდი. ვამჩნევდი, უმრავლესობა ამრეზით მიცქეროდა ჯგუფში. რაღაც ზედმეტი სახელიც შემარქვეს. ერთი სიტყვით, სიყვარულითა და პატივისცემით არ ვსარგებლობდი, თუმცა სინამდვილეში არც მავნე ვიყავი, არც ბოროტი. რატომღაც ასე კი მოხდა. გულით განვიცდიდი ყოველივეს. მაგრამ, რაკი გამოვეთიშე ჯგუფს, ვერაფრით მოხერხდა ჩვენი დაახლოება.

სესიების დაწყებამდე ერთი თვით ადრე ჯგუფში ამბავი მოიტანა რომელიღაც სტუდენტმა, ერთ-ერთი ჩვენი ქალიშვილთაგანი მძიმედ დაშავდა ველოსიპედით სეირნობისას, რის გამოც კარგა ხანი მოუხდება ლექციების გაცდენაო. უნდა ითქვას, რომ სამივე ქალიშვილი მეტად მომხიბვლელები იყვნენ, მაგრამ იმათში ის ერთი აშკარად გამოირჩეოდა. პირველ დანახვისთანავე ძალიან მომეწონა იგი...

ერთხელ დიდი შესვენების დროს აუდიტორიაში მანდილოსანი შემოვიდა. ჩემი გვარი იკითხა. უმალ წამოვიჭერი ფეხზე და დერეფანში გავყევი.

— თქვენთან ჩემმა ქალიშვილმა გამომგზავნა... ჩვენ გვინდა ერთად იმეცადინოთ, თორემ იგი ისედაც ჩამორჩა და სესიების ჩაბარება გაუჭირდება... ამაგს არ დაგიკარგავთ... ოღონდაც უარს ნუ იტყვით...

მივხვდი, ვინც მელაპარაკებოდა. მოულოდნელმა სიხარულმა ფრთები შემასხა. ვიგრძენი, სახეზე ალმური მომეკიდა. ჩვენთან ჯგუფში სხვებიც იყვნენ ძლიერნი სწავლაში და რაკი მათ მე მამჯობინეს, ამის შეგნებამ საოცარი სიამაყე მაგრძნობინა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

საღამოთი მივედი მეგისთან...

— მეგისთან? — მორიდებით შევაწყვეტინე.

— დიახ, იმ ქალიშვილს მეგი ერქვა. მეთხილამურის ტანსაცმელში გამოწყობილი, ბალიშებით გარშემოხვეული, სავარძელში იჯდა. დაშავებული ფეხი შეხვეული ჰქონდა. ოდნავ ჩაცვენოდა ლოყები. ფერიც დაჰკარგოდა. მაგრამ ეს ყველაფერი უფრო მეტს სინაზესა და მომხიბვლელობას მატებდა მას. კარგი მეგობარივით შემხვდა.

— გულახდილად გეტყვი, უარს ველოდი, და როდესაც დედამ შენი თანხმობა გადმომცა, გამიკვირდა, — სიცილით მითხრა მეგიმ, — შენ ხომ ისეთი მიუკარებელი ხარ...

მისმა ლაპარაკის კილომ და უბრალოებამ დაბნეულობა გამიფანტა. მაგრამ საპასუხოდ რა მეთქვა, მაინც არ ვიცოდი და დარცხვენით გავიღიმე.

მეცადინეობა დავიწყეთ იმავ საღამოს და ამის შემდეგ მთელი დანარჩენი ხუთი წლის განმავლობაშიც განუყრელი ამხანაგები ვიყავით. სესიებისათვის მეგი საგრძნობლად მომჯობინდა. ექიმებმა სიარულის ნებაც დართეს და, გამოცდებიც ორივემ წარმატებით დავასრულეთ.

იმ დროისათვის მე უკვე შეყვარებული ვიყავი. ჩუმად, ქურდულად ვტკბებოდი ჩემი საუნჯით. გულში ვიკლავდი გრძნობას, აშკარად კი ამაზე დალაპარაკებისაც მეშინოდა. მეგი თავნება ქალიშვილი იყო. ვაჟების ქათინაურებით გათამამებული, ამას ხელს უწყობდა მისი მშობლების მდგომარეობაც. ისინი არაფერს იშურებდნენ ერთადერთი შვილისათვის. მე კი ერთი საწყალი მებორნის შვილი ვიყავი. თავს სტიპენდიით ვირჩენდი, ვცხოვრობდი საერთო საცხოვრებელში. საკუთარი თავის მეტი არაფერი გამაჩნდა. მქონდა კი უფლება გამოვტყდომოდი მას? ვფიქრობ, — არა. თუნდაც იმიტომ, რომ აშკარად ვხედავდი, მეგის მხოლოდ ამხანაგად მივაჩნდი.

— ვანო!.. აჩრდილივით ნუ დასდევ მაგ გოგოს, ვერაფერს გახდები... — ხშირად, მეგის თანდასწრებით, გადმოუკრავთ ამხანაგებს ჩემთვის.

და ნეტავ გენახათ, რა დღეს დააყრიდა ხოლმე ამის მთქმელს თვითონ მეგი:

— ენა წაგიგრძელებია და რას ჩმახავ, თვითონაც არ გესმის. თითქოს ქალ-ვაჟის მეგობრობა არ შეიძლებოდეს. ყოველთვის ცუდი რამე უნდა იფიქროთ. — იმათ გასაგონად ახლა მე მომიბრუნდებოდა — შენ ყური არ ათხოვო ამგვარ მითქმა-მოთქმას. ილაპარაკონ, სანამ არ მობეზრდებათ.

ვაი, რომ არ ესმოდა გულს მისი სიტყვები. ტანჯვა უფრო მემატებოდა. მაგრამ ვდუმდი. ყველაფერს ვიტანდი, ოღონდაც მის ახლოს ვყოფილიყავი.

ასე გასტანა ხუთ წელიწადს...

ამ ხნის განმავლობაში მართლაც აჩრდილივით დავდევდი მეგის ყველგან. თვითონაც ძალიან შემეჩვია. უჩემოდ ყოფნა ვერც კი წარმოედგინა. მაგრამ შეჩვევაც არის და შეჩვევაც. ჩვენ სხვადასხვაგვარად ვაზროვნებდით: მას არ ესმოდა ჩემი გულის კვნესა. მე ვიტანჯებოდი მისი გულცივობით.

დადგა საგამოშვებო საღამოც... ჩვენ ორივეს სამუშაოდ ინსტიტუტში გვტოვებდნენ. ამ ამბავმა წელში გამასწორა. თავს უკვე მის ტოლად ვთვლიდი. მომავალი მამხნევებდა, და გადავწყვიტე სწორედ ამ საღამოს გამომემჟღავნებინა დაფარული გრძნობა. ახალ სამოსში გამოწყობილმა, გზად წითელი მიხაკის თაიგული ვიყიდე და წავედი საღამოზე.

დარბაზში ტევა არ იყო. ცეკვა გაეჩაღებინათ. მე და მეგიმ ერთდროულად შევამჩნიეთ ერთმანეთი. სწრაფად გამოქანდა იგი ჩემსკენ, თეთრ თხელ აბრეშუმის კაბაში ტყის დედოფალსა ჰგავდა. თვალები ნაპერწკლებივით უციმციმებდა. ბედნიერება ამოვიკითხე მის გამოხედვაში და გული სიამით ამევსო.

„მიმიხვდა, მიმიხვდა!“... — გამიელვა გულში. თაიგული გავუწოდე, ბავშვებივით ხელი-ხელს ჩავკიდეთ ერთმანეთს და ხალხისაგან განვცალკევდით.

— გილოცავ ინსტიტუტის დამთავრებას!... ასეთი ბედნიერი დღე ნუ გამოგელიოს და ცხოვრებაში სულ გამარჯვებული მენახო!... — წავჩურჩულე და პირველად დავეკონე მის თოვლივით თეთრ ხელებს.

— რომ იცოდე, როგორ გელოდებოდი... რომ იცოდე, რას განვიცდი ამ წუთში... — ჩურჩულითვე მიპასუხა მან და აწითლებული სახე ყვავილებში ჩამალა. — რჩევას მოველი, ვანო, შენგან, შენ ხომ იცი, ყველაზე ახლობელი რომ ხარ ჩემთვის... ჰოდა აი, ასე... ციხისელმა ცოლობა მთხოვა.. აგერ დგას, მოპირდაპირე კედელთან, და პასუხს ელის...

დარეტიანებულივით მივაჩერდი, სისხლი გამიჩერდა ძარღვებში. თვალთ დამიბნელდა და მთელს სხეულში შემაცივა. მან კი ისევ ვერაფერი შემამჩნია. აღელვებული განაგრძობდა ჩურჩულს:

— ციხისელს ხომ იცნობ?.. მექანიკურ ფაკულტეტზე სწავლობს. ერთი წლით ჩამოგვრჩება. ნეტავ გენახა, როგორ ღელავდა, როცა მელაპარაკებოდა. მეც ძალიან ვღელავდი... დაგიმალე, არ გითხარი და თვითონაც კარგა ხანია მომწონს იგი... როგორ ფიქრობ, დედა რას იტყვის? ვფიქრობ, არ გაჯავრდება... თქვი, ხომ ლამაზია ციხისელი?.. ახლა როგორ მღერის, არ მოგისმენია?... როგორც ნამდვილი მომღერალი. წადი მასთან და ერთი მიხაკი წაუღე ჩემგან... ეს იქნება ჩემი თანხმობის ნიშანი... წადი, წადი, შემოგევლე... იგი პასუხს ელის...

და მეც წავედი მის არჩევანთან... რატომ ჩავიდინე ეს? თვითონაც არ ვიცი. ნუთუ ასე ძლიერი იყო ჩემი სიყვარული მეგისადმი, რომ მის ბედნიერებას სინანულის გარეშე ვანაცვალე ჩემი ხუთი წლის უძილო ღამეები? ალბათ, ეს იყო მიზეზი. ზუსტად შევასრულე მეგის დავალება და გავშორდი იქაურობას. მეორე დღეს კი სამუდამოდ მივატოვე თბილისიც. წეღანაც მოგახსენეთ, ბოროტი არ ვარ, მაგრამ ბედნიერების ცქერას ვეღარ გავუძლებდი.

ჯანაშვილმა ღრმად ამოიოხრა, ცხვირსახოცით შეიმშრალა სახე და როგორღაც საოცრად მშვიდად ჩაილაპარაკა:

— ამით დასრულდა წითელი მიხაკის ამბავი...

— კი, მაგრამ მერე რა მოხდა, არ გაინტერესებთ? — ჩემდაუნებურად წამომცდა აღელვებულს. მან შემოხედა ჩემს აცრემლებულ თვალებს და გაფითრებულმა იკითხა:

— თქვენ იცით, რა მოხდა შემდეგ?!

— მეგი არ ყოფილა ციხისელთან ბედნიერი არც ერთი დღე. თავგასულ ახალგაზრდას თავშესაფარი ჭირდებოდა და ასეთ კუთხედ მეგის ოჯახი აირჩია. შემდეგ კი, როცა ხელში ჩაიგდო დიპლომი, უგზო-უკვლოდ გადაიკარგა და მას შემდეგ აღარც გამოჩენილა. მიტოვებული, შეურაცხყოფილი, თოთო ბავშვის პატრონი მეგი, ჭლექით დაავადდა და მალე სამუდამოდ გაშორდა აქაურობას. გაუბედურებულ მშობლებსაც აღარ უცხოვრიათ ამის შემდეგ დიდხანს, ხოლო უპატრონოდ დარჩენილი მეგის შვილი ბავშვთა სახლში აიყვანეს აღსაზრდელად...

— ეს ვინ გიამბოთ? საიდან გაიგეთ ეს?

— მე... მეგის ქალიშვილი ვარ.

— მეგის ქალიშვილი?! დიახ, დიახ, ამას ამბობენ თქვენი თვალებიც... საბრალო მეგი! მეგი, მეგი... — დაიკვნესა გულმოკლულმა ჯანაშვილმა, წამოდგა და ჩქარი ნაბიჯებით გამშორდა.

ამის შემდეგ აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. მან იმ ღამესვე დასტოვა სანატორიუმი...



# ასე იწრთობოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეობა „ვოლნა რევოლუციის" თავმჯდომარე პ. გოლოგუზოვი (მარცხნივ) და მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. მდინარაძე ერთმანეთს გადასცემენ გარდამავალ დროშებს.

„ვინც მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია".
შოთა რუსთაველი.

მახარაძის რაიონი სახელგანთქმულია არა მარტო თავისი სიმდიდრითა და სილამაზით, ციტრუსოვანთა და ჩაის უხვი მოსავლით. ის სახელგანთქმულია, აგრეთვე, მაღალი გრძნობისა და საუცხოო თვისებების მქონე ადამიანებით. სწორედ ამ მხარეში წარმოიშვა ის შესანიშნავი მეგობრობა, რომელმაც ასე დააახლოვა ერთმანეთს უკრაინელი და ქართველი ხალხი.

აი უკვე მე-19 წელია, რაც გენიჩესკელები და მახარაძელები ერთად არიან ჭირსა და ლხინში, ყოველთვის და მუდამ მზად არიან დახმარების ხელი გაუწოდონ ერთმანეთს, საქმით თუ კარგი სიტყვით დაეხმარონ, გაამხნევონ ძმა და მეგობარი.

— ჩვენ ერთმანეთი გავიცანით ჭირსა და ლხინში, შრომასა და სიმღერებში! — წარმოთქვა ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გრიგოლ ანდრიას ძე ლეგულოვმა მახარაძელებთან შეხვედრისას. რაოდენი ღრმა აზრია ამ უბრალო და ნათელ სიტყვებში. ეს სიმართლეა. მათი მეგობრობა გამოიწრთო მრავალ განსაცდელში.

1941 წლის დეკემბერი იყო... გენიჩესკელთა ნათელ ცას შავი ღრუბელი ჩამოაწვა და დაჩრდილა მათი საამური ცხოვრების მზე. უბედურება ეწვია უკრაინის მიწა-წყალს. ფაშისტი დამპყრობლები წინ მოიწევდნენ. გენიჩესკელებმა ჩააქრეს ცეცხლი კერაზე და მშობლიური მხარის დატოვებას აპირებდნენ. და აი, მრავალმა მახარაძელმა ძმურად გაუწოდა ხელი მათ, შეიფარა და ფართოდ გაუღო სახლის კარები, გაუზიარა პურ-მარილი.

რამდენი გულთბილი სიტყვის მოსმენა შეიძლებოდა იმ ცივი ზამთრის საღამოობით ქართულ კერასთან, წარმტაცი მომავლის რამდენ გეგმებს უზიარებდნენ ერთმანეთს მეგობრები. მათ ხომ თანაბრად სჯეროდათ, რომ გამარჯვების დღე ახლო იყო, საბჭოთა ხალხების მეგობრობის ძალა უძლეველი იყო!

უნებურად გვახსენდება იმ დროის ერთი ეპიზოდი:

ყოფილი კოლმეურნე, საბჭოთა არმიის მებრძოლი ლავრენტიევი მძიმე ჭრილობების შემდეგ ჰოსპიტლიდან უნდა გამოწერილიყო. მაგრამ სად წავიდოდა? მშობლიურ სოფელში ჰიტლერელები იყვნენ... და მაშინ, მან, მიიღო წერილი საქართველოდან. სოფელ შრომიდან ლავრენტიევს წერდნენ: „გამარჯობა, ძვირფასო ვასია, გავიგეთ, დაჭრილხარ, ჩამოდი ჩვენს კოლმეურნეობაში, ისე როგორც შენს საკუთარ სახლში. გიმკურნალებთ და როცა კარგად გახდები, შენთვისაც მოინახება სამუშაო. შემდეგ, როცა გავიმარჯვებთ, შენ გენიჩესკში გაემგზავრები მეურნეობის აღსადგენად. ქვემოთ გაცნობებთ ჩვენს მისამართს, თუ ისურვებ, მანქანასაც გამოგიგზავნით".

და ლავრენტიევიც ჩამოვიდა. ქართველი მეგობრების დახმარებით მან იპოვა მამა.

— ახლა ჩვენი ვასია ტრაქტორისტია. აი მე, გენიჩესკში ყოფნისას, ვინახული ის, — მოგვითხრობს სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხაკო ორაგველიძე. — მერე, როგორ გაუხარდა, ნათესავივით მიმიღო!

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეები გენიჩესკის რაიონის დელეგაციას პურითა და მარილით შეეგება.



და როცა ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ, რომლის რიგებში იბრძოდა არა ერთი მახარაძელი, გაათავისუფლა გენიჩესკი, როცა მათი დანაზოგებით აგებულმა სატანკო კოლონამ — „უკრაინის გათავისუფლებისათვის" — სხვა ნაწილებთან ერთად გამარჯვების მარშით განვლო უკრაინის გზები, მაშინ, სიხარულის დღეებში, მეგობრები ერთად იყვნენ. აქ, საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, ეს დღე, გენიჩესკის გათავისუფლების დღე ნამდვილ სახალხო ზეიმად გადაიქცა. საზეიმო სუფრასთან მრავალი სადღეგრძელო წარმოითქვა იმ დღეს.

— აბა, ისე როგორ შეიძლებოდა. მათი ჭირი ჩვენი ჭირია, მათი სიხა-

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ორაგველიძე სტუმრებს ნატურალური წითელი ღვინით უმასპინძლდება.



რული — ჩვენი სიხარული, — იგონებს წარსულს ძველი ბოლშევიკი, პარტიის წევრი 1917 წლიდან — ილია დოლიძე.

გენიჩესკელები უდიდესი მადლიერების გრძნობით გამოეთხოვნენ თავიანთ მეგობრებს და გაეშურნენ თავიანთ მხარეში. მათ იქ დიდი სამუშაოების ჩატარება მოუხდათ. საჭირო იყო დანგრეული კერის აღდგენა, განადგურებული მეურნეობის მოწესრიგება. და აქაც მეგობრები მიეშველნენ. სოფელ შრომის კოლმეურნეებმა გაუგზავნეს მათ სამი ვაგონი პროდუქტიული საქონელი, მარცვლეული, ტანისამოსი ბავშვებისათვის, ჭურჭელი დიასახლისებისათვის, ხილი და ა. შ. შეუსვენებლივ მუშაობდნენ კოლმეურნე მკერავი ქალები: ისინი ამზადებდნენ თეთრეულს ძვირფასი მეგობრებისათვის, შეუკერეს ასამდე აბრეშუმის საბანი.

მიხაკო ორაგველიძესთან ინახება დიდი სიყვარულით შეკრებილი საბუთები და წერილები, ამონაჭრები გაზეთებიდან, ყველაფერი ის, რაც მოგვაგონებს ორი ხალხის ამ სასიქადულო მეგობრობას. ეს გახუნებული ფურცლები მჭევრმეტყველურად მოგვითხრობენ ხალხთა მეგობრობის უძლეველობაზე.

— იცით, რა, — გვაუწყა ორაგველიძემ, — არასოდეს არ მიფიქრია წიგნის დაწერა. მაგრამ აი, ასეთი სიყვარული და მეგობრობა ვის არ აღაფრთოვანებს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ დასწერა მღელვარე მოთხრობა „მეგობრობა", ამ წიგნის პირველი ეგზემპლარები ავტორმა გაუგზავნა გენიჩესკში — თავისი წიგნის გმირებს.

წელს მეცხრამეტე წელიწადს ხვდება ეს მეგობრობა. და აი, ის გამოაწრთო დრომ, ომის ქარცეცხლმა და წლითიწლობით სულ მტკიცდებოდა, იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა. ეს მეგობრობა დაიწყო სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობისა და უკრაინის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა შეჯიბრებით.

# მეგობრობა

ახლა კი უკვე შრომის ფერხულში ჩაებნენ და მეგობრობის ხელი გაუწოდეს ერთმანეთს ორი მოძმე რესპუბლიკის ორი რაიონის — გენიჩესკისა და მახარაძის მშრომელებმა.

* *

განვლო წლებმა. უკრაინისა და საქართველოს ორი რაიონის საკოლმეურნეო სოფლების მშრომელთა მეგობრობასა და შეჯიბრებას ახალი შინაარსი მიეცა. ახლა მათი ღონისძიებები, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანების ღონისძიებები, მიმართულია პარტიის მეოცე ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისკენ.

ისინი თანაბრად გულმხურვალედ გამოეხმაურნენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვას ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი, ახალი აღმავლობის მოპოვებისათვის. მეგობრების მთელი ძალ-ღონე იქითკენაა მიმართული, რათა უკეთ იმუშაონ და თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი მეურნეობის აღორძინების საერთო საქმეში.

და ამჟამად, შრომისა და შემოქმედების ამ სასიხარულო დღეებში, მეგობრები ყოველთვის ერთად არიან, ყოველთვის მოხარულნი არიან მიულოცონ ერთმანეთს წარმატება.

როცა მახარაძელებმა მნიშვნელოვანი მაჩვენებლებისათვის მიიღეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, მეგობართა სიხარულს დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ გენიჩესკელები. მრავალი მისალოცი წერილი და დეპეშა მიიღეს მაშინ მახარაძელებმა.

„ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო შოთა ილარიონის ძევ, — წერდა იმ დღეებში პარტიის გენიჩესკის რაიკომის მდივანი ამხ. პრილიპკო პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანს ამხ. ჯანუყვაძეს, — გილოცავთ თქვენ და რაიონის ყველა მშრომელს მაღალ ჯილდოს, გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, რათა დაგეხმაროთ და ვამრავლოთ თქვენი წარმატებები".

ასე ხდება მხოლოდ ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში, როცა სოციალისტური შეჯიბრების პროცესში წარმოიშვება ყველაზე მშვენიერი, ყველაზე ლამაზი ადამიანური გრძნობები — მეგობრობა, ამხანაგობა და ურთიერთდახმარება. განა ამას არ ადასტურებს შემჯიბრებელ რაიონთა მრავალი კოლმეურნის შორის გაჩაღებული გულითადი მიწერ-მოწერა?

ამ მეგობრობისა და ურთიერთდახმარების კონკრეტული შედეგი აღმოჩნდა ის, რომ ორივე რაიონი ამჟამად აღმავლობის გზაზეა დამდგარი, ფართოვდება, იზრდება და მაღლდება მახარაძელთა საზოგადოებრივი მეურნეობა. ხუმრობა საქმე როდია, რომ მიმდინარე წელს მათ ყველა სახელმწიფო დავალება გადაჭარბებით და ვადამდე ადრე შეასრულეს. აქ ყოველ შრომადღეზე საშუალოდ ფულად გასცეს 26 მანეთი, ბევრი მარცვლეული, ღვინო და სხვა პროდუქტი.

ვისაც არ უნდა ჰკითხოთ აქ, აუცილებლად გეტყვით, რომ მათ მიერ მოპოვებული წარმატება მარტოოდენ მათი წარმატება როდია.

— ამ წარმატებაში დიდი წილი უძევთ ჩვენს უკრაინელ მეგობრებსაც; ისინი დაგვეხმარნენ რჩევა-დარიგებით და საქმით და ამით ავამაღლეთ ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობა, — ამბობს რაიაღმასკომის თავმჯდომარე დათიკო საბაშვილი.

და, მართლაც, ათვალიერებთ რაიონის ცნობებს და თვალნათლივ რწმუნდებით ამ სიტყვების სიმართლესა და გულწრფელობაში. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში აქ თითქმის გასამკეცდა პროდუქტიული მეცხოველეობა, ხოლო პლანტაციებისა და ყანების მოსავლიანობის მკვეთრ აღმავლობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

უდიდესი სიხარულითა და სიამაყით მიიღეს სასოფლო-სამეურნეო არტელ „პუტ კ კომუნიზმუს" კოლმეურნეებმა პარტიის გენიჩესკის რაიკომისა და რაიაღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა, იგი დაწესებულია შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობის დასაჯილდოებლად. იმავე დროს, გენიჩესკში, პარტიის მახარაძის რაიკომისა და რაიაღმასკომის დროშა საზეიმო ვითარებაში გადაეცა შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობას.

როცა სამეურნეო წელი მთავრდება და ბეღლები შემოდგომის უხვი მოსავლით აივსება, მაშინ, როგორც წესი, მახარაძესა და გენიჩესკში მიდი-მოდიან დელეგაციები. ისინი აჯამებენ თავიანთი ბრძოლისა და გამარჯვების შედეგებს.

შარშან ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს მეგობრები. ოთხი, ჭეშმარიტად მღელვარე, გულის აღმგზნები შეხვედრა მოეწყო კოლმეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებში, პლანტაციებსა და ბაღებში.

დაუვიწყარია ის ნათელი მაისის დღე. მაშინ, გაზაფხულმა თითქოს იგრძნო ამ საზეიმო ვითარების მთელი სიდიადე და განსაკუთრებულად მორთო და ააფერადა ყველაფერი, ყველანი, დიდი და პატარა, გამოეფინენ ქუჩებში, მთავარ მოედანზე. ზღვა ხალხის თავზე ქარი აფრიალებდა წითელ დროშებს, ფერად-ფერად ტილოებს და როცა ყვავილებით დაფენილ ქუჩებში ავტომანქანებით გამოჩნდნენ მოძმე უკრაინის წარგზავნილები, არემარე შესძრა „ურასა" და „ვაშას" მძლავრმა შეძახილებმა. ყოველი მხრიდან უკრაინულ, რუსულ და ქართულ ენებზე გაისმოდა მხურვალე მისალმებათა სიტყვები. სტუმრებს ჩამოსვლა მოულოცა მოსწავლე გოგონამ — სალუქვაძემ. მან უკრაინულ ენაზე წაიკითხა ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი ლექსი.

— მეგობრობა! დრუჟბა! — გაისმოდა ირგვლივ. და ეს, ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასი სიტყვა განსაკუთრებული მნიშვნელობით ჟღერდა შეკრებილთა ბაგიდან. მათს მეგობრობაში თითქოს უფრო თვალსაჩინო და ხელშესახები ხდებოდა ბრძნული ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ნაყოფი.

გენიჩესკელები მდიდრული საჩუქრებით ჩამოვიდნენ. მათ საჩუქრად ჩამოიყვანეს ცამეტი ვაგონი ჯიშიანი საქონელი, — აქ ჩამოვიდნენ სპეციალისტები, მეცხოველეები, მწველავები, მწყემსები. ჩამოვიდა მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივი.

მრავალი მეგობრული შეხვედრა მოეწყო ამ დღეებში. მეცხოველეობის ფერმებში, საღორეებთან, ბოსლებთან გაიმართა საქმიანი საუბარი, სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების ურთიერთშემოწმება. არავითარი შეღავათი, არავითარი დათმობა წარმატების განსაზღვრისას.

— ვერაფრით დავაკმაყოფილე ჩვენი უკრაინელი მეგობრები, — ჩივის სოფელ ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე ივანე დარჩია, — არაფერი არ მოწონთ: ამბობენ, ფერმაში სისუფთავე არა გაქვთო, მოუწყობელიაო. ყველაფერი ისე უნდა გქონდეთ, როგორც აფთიაქშიო. კიდევ მეტი, აი, ამას წინათ მოითხოვეს, ცხვირსახოცით გამესინჯა, რამდენად კარგად იყო გასუფთავებული ძროხები და მერე რა გამოვიდა? გაგულისდნენ: ძროხებს ცუდად უვლითო.

დიახ, გენიჩესკელი მომთხოვნია, როგორც ყოველი მეგობარი, რომელსაც მეგობრისათვის სიკეთე სურს.

— პირდაპირ უნდა ვთქვა, არ მომწონს თქვენი საღორეები, — განაცხადა გენიჩესკისა და მახარაძის რაიონების მეცხოველეთა თათბირ-სემინარზე ნოვო-ალექსეევკის მტს-ის მთავარმა ზოოტექნიკოსმა მარია კოვტუნმა, — ისინი ძველებური დროის საღორეებს მოგვაგონებენ. მე მგონია, უნდა ვიფიქროთ ღორების ჯიშის გაუმჯობესებისათვის. ამ საქმეში ჩვენ დაგეხმარებით, ძვირფასო მეგობრებო.

და მართლაც დაეხმარნენ! ამას წინათ აქ კვლავ ჩამოვიდნენ გენიჩესკელები და თან ჩამოიყვანეს 33 მაღალპროდუქტიული ღორი და ბევრი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. ისინი დაეხმარნენ მექანიზაციით მეცხოველეობის ფერმის აგებაში. აქ მზრუნველი ხელით კედლებიც კი მოაპირკეთეს, რათა „ცხოველებს აღარ ეცხოვრათ პირუტყვულად".

თავის მხრივ, მახარაძელი კოლმეურნეებიც ძლიერ ბევრ რამეს უკეთებენ მეგობრებს, — ეხმარებიან ჩამორჩენილი დარგის — მებაღეობისა და მევენახეობის აღმავლობაში.

— უნდა აღინიშნოს, — ამბობს ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სერგო ჩხაიძე, — რომ გენიჩესკში სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ბაღებისა და ზვრების გაშენებას, კოლმეურნეობათა ტერიტორიების გამწვანებას. და აი, ჩვენ გადავწყვიტეთ დავეხმაროთ მათ ამ საქმეში.

და დაეხმარნენ კიდეც! გენიჩესკში იქმნება სპეციალური სანერგე ვენახისა და დეკორატიულ მცენარეთა ნერგებისათვის. აქ ჩავიდნენ სპეციალისტები საქართველოდან, რათა დაეხმარონ უკრაინელებს მევენახეობის მოწინავე აგროტექნიკის ათვისებაში. ხოლო რაოდენ სიხარულს მიანიჭებს მეგობრებს გენიჩესკში გასაგზავნად მახარაძელთა მიერ გახარებული 1000 ლიმონის ხე.



მარცხნიდან მარჯვნივ: ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ლ. ლობურსკაია, კარლ მარქსის სახელობის კოლმეურეობის თავმჯდომარე ა. კორსუნი და მახარაძის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ვეტექიმი ლ. სოსელია საუბრობენ კოლმეურნეობის ფერმაში.

უკრაინელმა მეგობრებმა, ამას წინათ, მახარაძიდან მიიღეს ექვსი ვაგონი მანდარინი და ფორთოხალი. „ჩვენ მეგობრებს საახალწლო სუფრისათვის", — ამბობდნენ მახარაძელები, როცა ამ საჩუქარს აგზავნიდნენ. ამ ციტრუსების მოსავალი აიღეს „მეგობრობის ბაღებში", რომლებიც გადაშლილია ნატანების, შრომის, ლიხაურის, ცხემლისხიდისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა ტერიტორიებზე.

იმ დღეს ქალაქის თეატრის დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით, აქ გამოდიოდნენ გენიჩესკისა და მახარაძის მხატვრული თვითშემოქმედების წრეები. საუცხოო სანახაობას წარმოადგენდა ნაირფეროვან ნაციონალურ ტანისამოსით მორთულ-მოკაზმული თვითმღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლები. ფართო მდინარესავით მიედინებოდა უკრაინული, ქართული და რუსული სიმღერების მელოდიები. ამ სიმღერებში ძმადშეფიცულნი ადიდებდნენ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სამშობლოს, ხალხთა მეგობრობას, ამ დღეს განსაკუთრებული წარმატება ხვდა ადგილობრივი კომპოზიტორის — ერქომაიშვილის მიერ შეთხზულ სიმღერას, მიძღვნილს უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობისადმი.

კონცერტი დამთავრებულია. სცენაზე ადის ორივე კოლექტივი. მონაწილენი გულმხურვალედ ეხვევიან ერთმანეთს. მაყურებლებმა ყვავილთა თაიგულებით დაჰფარეს ისინი. ვიღაცამ წამოიწყო სიმღერა სამშობლოზე. ნაცნობი მელოდია დააგუგუნა მთელმა დარბაზმა. და აქედან, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს პატარა და შორეული კუთხიდან, თითქოს მთელს ჩვენს ქვეყანას მოეფინა ეს წარმტაცი ხმები.

გ. ლებანიძე

ფოტო მ. კვირიკაშვილისა

მიტინგი ქალაქ მახარაძეში, რომელიც გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეთა ჩამოსვლას მიეძღვნა.



# 80.000 კმ მოსაუბრე მძღოლთან



ბუდუ ყელაურიძე.



სამტრედია.
მტს-ის დირექტორი ა. დუნდუა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკი დ. დუნდუა და მუშაობის მწარმოებელი გ. ქართველიშვილი ათვალიერებენ მტს-ის ახალ მშენებლობებს.



აბაშა.
მელორეობის მეურნეობის მშენებლობა.



ცხაკაიას რაიონი.
სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. მეთევზეები თევზისჭერის დროს კოლმეურნეობის წყალსაცავში.



ხონი.
კავშირგაბმულობის ახალ კანტორაში.

მგზავრებით დატვირთული, ბრეზენტისსახურავიანი ავტობუსი ხან ფრთხილად მიიკვლევდა გზას ქუთაისის ხალხმრავალ ქუჩებში, ხან ტროლეიბუსის დაძვრას ელოდებოდა გაჩერებასთან, ხან ავტოქარხნისკენ მიმავალი წითელი ავტობუსები უკიტავდნენ ახაქცევს. მაგრამ გასცდა თუ არა ქალაქს, სვლას უმატა და მძღოლიც თავისუფლად მიეყრდნო სკამის ზურგს.

სამტრედიის ერთ-ერთ ქუჩაზე მანქანა ცოტა ხნით გაჩერდა, მაგრამ არავინ ჩამოსულა, მხოლოდ მძღოლმა მიირბინა ონკანთან, წყალი შესვა, მერე ცარიელი ბორჯომის ბოთლი შეავსო და უკან გამობრუნდა.

— გემრიელი წყალია, ქუთაისისას არ ჰგავს — თქვა მან კაბინაში შემოსვლისას.

— მაგას ვერ დავიჯერებ — შეესიტყვა ვიღაც შუახნის ქალი — იმამდე ვმსახურობდი აქ და ვიცი რა წყალიცაა.

— წელს გამოიყვანეს ქალბატონო წყალსადენი, — იწყინა მძღოლმა.

— წყალსადენი?

— დიახ, წულუკიძის რაიონიდან... თოთხმეტი კილომეტრი აქვს სიგრძე. სამტრედიის გარდა სოფელ კულაშის მცხოვრებთაც ამარაგებს — თქვა მძღოლმა და მანქანა დაძრა.

— აბა, დიდი წყალსადენი ყოფილა.

— ხუთი მილიონი დაიხარჯა მშენებლობაზე...

მძღოლის ამ სიტყვებზე უკან მჯდომი თეთრწვერა მოხუცი თითქოს შეკრთაო, წინ გადაიხარა და მოკრძალებით ჰკითხა:

— რა თქვი, ჩემო ბიჭია?... ხუთი მილიონიო? — მძღოლმა ფანჯარასთან მიმაგრებულ პატარა სარკეში შეხედა მოხუცს.

— კი, ბაბუა, ხუთი მილიონი!

— ამდენი დახარჯა სახელმწიფომ ამ პატარა ქალაქისათვის? — კიდევ არ სჯეროდა მოხუცს.

— ეგ რაა, ჩემო ბაბუა. — გაიღიმა მძღოლმა და ლაღად შემოატარა ხელი საჭეზე — აი ამ შენობას ხომ ხედავთ, ახალი საავადმყოფოა. ამ ქუჩაზე შენდება კიდევ ორი საცხოვრებელი სახლი, სამტრედიის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მუშებისთვის, აი, ახლა გამოჩნდება მალე... სტალინის ქუჩაზე უზარმაზარ კულტურის სახლს აშენებენ, იქით ახალი პურსაცხობი კომბინატი შენდება... ახლა სოფლებში არ იკითხავთ? კულაშში სკოლა შენდება, მგონი ქუთაისშიც არ იქნება იმოდენა... მერე მტს-ის სახელოსნოებით, სარძეო-სამრეწველო ფერმებით და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ახალი შენობა ააგეს... ეს მარტო გასულ წელს...

— კი, მაგრამ შენ საიდან იცი ყველაფერი, ბაბუა? — შეაწყვეტინა მოხუცმა.

— აბა, მეტი რა საქმე მაქვს, დავქრივარ ამ ქუთაისსა და სოხუმს შორის, ქვეყნის პატრონივით ავუვლი და ჩამოვუვლი ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, და ერთი აგურიც რომ მოემატოს სადმე, არ გამომეპარება.

— აბა თუ ეგრეა, არც ჩვენ გამოგვეპარო... — დაიძახა ვიღაცამ უკანა სკამიდან.

ასე გაიბა საუბარი მძღოლსა და მგზავრებს შორის, და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე გრძელ მარშრუტებზე, მოიძებნა საერთო, სახაუბრო თემა.

ავტობუსი აბაშას უახლოვდებოდა—სიმინდის მაღალი მოსავლითა და ეთერზეთოვანი კულტურებით განთქმულ რაიონს. ავტომაგისტრალის მოშორებით ახალი კორპუსები გამოჩნდა და მძღოლიც ალაპარაკდა. აქ სარაიონთაშორისო სახელოსნოები იქნება ტრაქტორის ძრავთა კაპიტალური რემონტისათვისო, იქით საქართველოს ერთ-ერთი უმძლავრესი მტს-ის მუშაკთა ახალი საცხოვრებელი სახლი შენდებაო, აგერ, ეთერზეთოვანი ქარხნის რეკონსტრუქცია მიმდინარეობსო...

მიჰქროდა ავტობუსი, უკან რჩებოდა რაიონული ცენტრები, სოფლები, ახალი ხიდები და პარკები, კულტურის სახლები და პოლიკლინიკები, და არ ელეოდა სალაპარაკო მძღოლს. უნდოდა მგზავრებსაც სცოდნოდათ სოფელ უთანეთის 2.500 წერტილიან ახალი რადიოკვანძის შესახებ, ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის თევზსაშენ წყალსაცავის შესახებ, სადაც ტერენტი ალანიას ბრიგადამ გასულ წელს 10.000 კგ. თევზი დაიჭირა და 100.000 მანეთის შემოსავალი მისცა კოლმეურნეობას. მძღოლს არ შეეძლო არ მოეხსენებინა ახალი სტადიონები, ახალი სკოლები, ხობის კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილება, რომელიც 15 სოფსაბჭოს ემსახურება და 7.000 ეგზემპლარ ჟურნალ-გაზეთს აწვდის მკითხველებს. ავტობუსმა გვერდით ჩაუქროლა სასტუმრო „ოდიშის" ახალ შენობას ზუგდიდში, ენგურის ქაღალდის კომბინატის მუშათა ახალ საცხოვრებელ სახლს, გაიქროლა გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის მთავარ ქუჩებში, მძღოლი კი შეუსვენებლივ ლაპარაკობდა. მგზავრები ყურადღებით უსმენდნენ და ხანდახან თუ შეაწყვეტინებდნენ ლაპარაკს შეკითხვებით. განსაკუთრებით ყურადღებით უსმენდა თეთრწვერა მოხუცი და მის გვერდით მჯდომი კაცი, რომელსაც კისერზე ფოტოაპარატი ჰქონდა ჩამოკიდებული. იგი თბილისიდან სოხუმს მიმავალი ჟურნალისტი იყო, კმაყოფილებით იღიმებოდა და მანქანის რხევის მიუხედავად, რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში. ანდა რატომ არ იქნებოდა კმაყოფილი, ასეთი მოულოდნელი და ფაქტებით სავსე „ინტერვიუ", როგორიც მძღოლისაგან მიიღო, არც ისე ხშირად ექნება ჟურნალისტს. უბის წიგნაკში ძუნწად, ციფრების ენით ჩაეწერა მძღოლის მთელი საუბარი: „ქუთაისიდან სოხუმამდე — 1) ორი და სამსართულიანი ახალი საცხოვრებელი სახლები და ინდივიდუალური მშენებლობანი — 631. 2) სარძეო-სამრეწველო, მეღორეობისა და მეფრინველეობის ახალი ფერმები — 63. 3) წელიწადში — 5 მლნ. კვერცხი, 200.000 ფრთა ქათამი... პოლიკლინიკები, საავადმყოფოები, აღმ. შენობები, სასილოსე კოშკები, საბავშვო ბაგები, ახალი ჩაის ფაბრიკები და მტს-ები, ახალი ხიდები და ბაღები..."

სოხუმში ჩამოსვლისას ჟურნალისტი რედაქტორთან მოფუსფუსე მძღოლს მიუახლოვდა.

— ბოდიში, თუ შეიძლება თქვენი სახელი და გვარი მითხრათ.

— ბუდუ ყელაურიძე... რა გნებავთ? — წელში გაიმართა მძღოლი.

— არაფერი. მინდა სურათი გადაგიღოთ, — და ჟურნალისტმა აპარატი მოიმარჯვა.

თურმე არც ბუდუ ყელაურიძე ჩამორჩება ცხოვრებას, 1956 წელს, გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, ოთხჯერ მიუღია ფულადი პრემია. ქუთაისის ავტოსარემონტო კანტორას გარდამავალი დროშა გადაუცია, როგორც საუკეთესო მძღოლისათვის. გასულ წელს ბუდუმ 60.000-ზე მეტი მგზავრი გადაიყვანა და 80.000-ზე მეტი კილომეტრი გაირბინა უავარიოდ.

ი. მარიამიძე
ფოტო ვ. ჩირკასოვისა



ზუგდიდი.
ინგირის კოლმეურნეობის კულტურის სახლი.



გალი.
ამ სტენდზე მოთავსებულია რაიონის საუკეთესო ადამიანების პორტრეტები.



ოჩამჩირე.
სოფ. კოჩორას სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნე ქ. ქვანია კრეფს ლაო ჩაის, ახალ პლანტაციაზე.



გულრიფშის რაიონი.
დრანდის ახალი ჩაის ფაბრიკა.



სოხუმში ჩასვლისას ბ. ყელაურიძემ (მარჯვნივ) საგზური ჩააბარა სოხუმის სამგზავრო ავტოსადგურის დისპეტჩერს ხ. გვასალიას.

# კუნელის ჩრდილში

## ჰერმან ჩარლზ ბოსმანი

— ავაზები? — შეეკითხა ძია შოლკ ლოურენსი.

— ჰო, რასაკვირველია, ლიმპოპოს ამ ნაპირზე ორი ჯიშის ავაზებია. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ ერთ მათგანს ტანი უფრო დაწინწკლული აქვს, ვიდრე მეორეს. მაგრამ, თუ მინდორში მოულოდნელად წააწყდით, ვეჭვობ მის ტანზე წინწკლების თვლას შეუდგეთ.

ეს ხელსაყრელიც არაა. რა ჯიშის ავაზაც არ უნდა იყოს, თქვენ მაინც გაქცევას, და რაც შეიძლება სწრაფად გაქცევას, ამჯობინებთ. მახსოვს, ერთხელ, როცა მოულოდნელად წავაწყდი ავაზას მისი წინწკლების დათვლა ვერ მოვახერხე, თუმცა მის დასათვალიერებლად დრო საკმაო მქონდა.

ეს ამბავი შუადღისას მოხდა. მე დავეხეტებოდი ჩემი ფერმის იქით მდებარე ბორცვს გადაღმა და ჯოგიდან ჩამორჩენილ ძროხებს დავეძებდი. ვფიქრობდი, ძროხები სწორედ იქით წავიდნენ-მეთქი, რადგან იქ კუნელს კარგი ჩრდილი ჰქონდა და წამოსაწოლადაც მეტად რბილი და სასიამოვნო მოლი ბიბინებდა.

თითქმის ერთ საათს ვეძებდი ძროხებს. მოულოდნელად აზრმა გამიელვა: მათი ძებნა უფრო უკეთესად შემიძლია, თუ ჩრდილში წამოვწვები. ბალღმაც კი იცის, რომ ძროხები არც ისე პატარები არიან, რომ მათ საძებნელად საჭირო იყოს ოჩოფეხებზე შედგომა.

ასე და ამგვარად, პირაღმა ვიწექი თვალებზე ქუდჩამოფხატული და ფეხი ფეხზე მქონდა გადადებული, როცა თვალებს მოვხუჭავდი, ჩემი ჩექმის აპრეხილი ცხვირი აბჯატერსკოპის მთის მწვერვალი მეგონა. ჩემს თავზე, ჰაერში მხოლოდ ერთი დიდი ფრინველი ნავარდობდა. ფრთები გაეშალა და .ლაღად დაჰქროდა. ვიცოდი, რომ შეუმჩნევლად ხბოც კი ვერ გამოჩნდებოდა ცის ფონზე ჩემი ჩექმის წვერისა და ამ ფრინველს შუა. მთელი დღე კუნელის ჩრდილში წამოწოლილს ასე შემეძლო ძროხების ძებნა. როგორც მოგეხსენებათ, მე იმათთაგანი არ ვარ, სახლში რომ უსაქმოდ დაბორიალობენ. მამაკაცისათვის სამუშაო ნიადაგ მოიძებნება. რაც მეტს ვაცქერდებოდი ჩემი ჩექმის წვერს, იგი სულ უფრო მეტად წააგავდა მთის მწვერვალს. თანდათან მეჩვენებოდა, რომ ეს აბჯატერსკოპის მთაა, რომლის მწვერვალზე უკვე ვარჩევდი ქვებს, ფერდობებზე კი გამხმარ ბუჩქნარს. ჩემს ყურამდე აღწევდა ზუზუნისებრი შორეული ხმა, ზაფხულის წყნარ დღეში ფუტკრების ბზუილს რომ წააგავდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ძალზე მსიამოვნებდა ჩრდილში ამგვარად წოლა და თვალების ხუჭვა. შემდეგ რაღაც საოცარი მოხდა.

გეგონებოდათ, ჩემი მთის მწვერვალზე მხეცის თავის მსგავსი უზარმაზარი ღრუბელი წამოჯდაო, ეს ისეთი სასეირო რამ იყო, კინაღამ გადავიხარხარე. მაგრამ არ გავიცინე, არამედ გავახილე თვალი და... გამეხარდა, რომ მხოლოდ სიზმარი იყო. ეს რომ ცხადი ყოფილიყო, იძულებული ვიქნებოდი დამეჯერებია, წინწკლებიანი ღრუბელი აბჯატერსკოპის მთაზე, სხვა არაფერია, თუ არა ავაზა, რომელიც ჩემს ჩექმას ათვალიერებდა. მე ისევ სიცილი მომერია, მაგრამ უმალ მივხვდი, რომ ეს სიზმარი კი არ არის, არამედ ცხადია, და ჩემი მხიარულება მყისვე გაჰქრა.

ეს იყო ავაზა. ნამდვილი, უზარმაზარი მშიერი ავაზა, იჭვნეულად რომ ყნოსავდა ჩემ ჩექმას. მე ხასიათი გამიფუჭდა.

ვიცოდი, ვერ დავარწმუნებდი ავაზას, რომ ჩემი ჩექმის წვერი აბჯატერსკოპის მთა იყო.

ეს ისეთი ავაზათაგანი როდი გახლდათ. ეს წინწკლების დაუთვლელადაც კარგად ვიცოდი.

* *

მოათავა თუ არა ჩექმის დათვალიერება, ავაზამ ჩექმის ზევით დამიწყო ყნოსვა. ეს ყველაზე საშინელი წუთი იყო ჩემს ცხოვრებაში. წამოდგომა დავაპირე, მინდოდა მომეკურცხლა, მაგრამ ვერ შევძელი, ფეხები არ მემორჩილებოდა. დიდ მხეცებზე მონადირენი ამბობენ, რომ ასეთ შემთხვევაში კაცს მხოლოდ ხერხი იხსნის ხოლმე ლომებისა და ავაზებისაგან. ეს ხერხი კი ისაა, რომ უნდა დაწვე მიწაზე და თავი მოიმკვდარუნო. ნადირი მკვდარს არასოდეს არ ერჩის.

იმ დროს, როცა ავაზა ჩემს ბედ-იღბალს სწყვეტდა, მე ბალახზე მწოლარე მივხდი, თუ რატომ არის მონადირისათვის საჭირო ასეთ შემთხვევაში გაუნძრევლად წოლა. იგი წევს მხოლოდ იმიტომ, რომ შიშისაგან ფეხები არ ემორჩილება.

* *

ამასობაში ავაზამ ჩემს მუხლებამდე მიაღწია და გულდასმით შეუდგა შარვლის შესწავლას. მე ძალიან შემრცხვა, რადგან ჩემი შარვალი ძველ ყაიდაზე შეკერილი და თანაც მუხლებზე დამსკდარი იყო. ეს მაშინ დამემართა, როცა ეკლიან მავთულზე გადავხტი ხშირ ბუჩქნარში, გადასახადის ამკრეფს რომ არ ვენახე.

ავაზა დიდხანს ათვალიერებდა შარვლის გახეულ ადგილს და თანდათან უხერხულ მდგომარეობაში მაყენებდა. მინდოდა მეამბნა მისთვის გადასახადის ამკრეფისა და ეკლიანი მავთულის შესახებ.

როდესაც ავაზამ ჩემს ხალათამდე მოაღწია, თავი უკეთ ვიგრძენი. ეს იყო თივთიკის ცისფერი ხალათი, სულ რამდენიმე კვირის წინათ ნაყიდი რემოუტში ინდოელი ვაჭრისაგან, ჩემთვის სულ ერთი იყო, რამდენმა უცნობმა ავაზამ ნახა იგი. ამიტომ გადავწყვიტე: თუ კვლავ კუნელის ჩრდილში მწოლარეს მომიხდება ჯოგიდან ჩამორჩენილი ძროხების ძებნა, აუცილებლად ცხვრის ქონით გავპოხო ჩექმები. შავი ქუდი, — რომელიც წირვაზე მხურავს ხოლმე, — შინ დავტოვო. მე ნებას არ მივცემ ყოველ გარეულ ცხოველს, აბუჩად რომ ამიგდოს.

* *

მაგრამ, როდესაც ავაზა ჩემი სახის დაყნოსვას შეუდგა, ისევ შემეშინდა.

ვიცოდი, რომ მას ხალათი მოეწონებოდა, მხოლოდ რაც შეეხება ჩემ სახეს, ამაში დარწმუნებული არ ვიყავი. ეს საშინელი წუთები იყო. უზარმაზარი ცხოველი ფრთხვინვითა და ქშენით მოიწევდა ჩემსკენ და მისი სუნთქვა სიმხურვალეს მაფრქვევდა სახეში. ცხადია, მიხვდებით, თუ რა არის ადამიანისათვის კოშმარის განცდა. მე არა ერთხელ ჩავვარდნილვარ საკმაოდ რთულ მდგომარეობაში. მაგრამ ეს იყო ერთი იმ წამთაგანი, რომელსაც შეუძლია ჭაბუკი მოხუცად აქციოს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რას განვიცდიდი, როცა ხახადაღებული ავაზა თავზე მადგა და თითქოს მიმიზნებდა, სად და როგორ დამბღლვნიდა.

აი, ავაზამ ყრუდ დაიღრინა, გადამალაჯა, ქუდი გადამიგდო, შემომხედა და ისევ დაიღრინა. გავახილე თვალი და დავინახე, რომ ცხოველი ზანტად მშორდებოდა. შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ საშიშროება ჯერ კიდევ აცილებული არ იყო. ავაზა შორს წასვლას როდი ფიქრობდა: ის დაბრუნდა და ჩემს გვერდით არხეინად წამოწვა.

აი, ამგვარად, მე და ავაზა ვიწექით ბალახზე, კუნელის ჩრდილში; ავაზა მხართეძოზე წამოწოლილი და ძალლივით წინა თათებ გადაჯვარედინებული. როგორც კი შევეცდებოდი, ცოტა გავწეულიყავი, ის მყისვე ღრენას იწყებდა. რაზედაც გინდათ დაგენაძლევებით, რომ არასდროს არ ყოფილა ასეთი უცნაური წყვილი არსება, კუნელის ჩრდილში ძროხების ძებნით გართული.

* *

მეორე დღეს, ფანი სნაპენის წინა ოთახში, სადაც ჩვენი ფოსტაა მოთავსებული, ზერუსტიდან საბარგო მანქანის მომლოდინე ფერმერებს ვუამბე ეს შემთხვევა.

— ბოლოს და ბოლოს მაინც როგორ დააღწიე თავი ავაზას? — აშკარა თავის გართობის მიზნით მკითხა კოოს ვან ტოდემ. — შენ ნამდვილად შესრიალდი ბალახში, პითონად მოეჩვენე და ავაზა დააფრთხე?

— არა, — მივუგე მე, — ჩვეულებრივ ავდექი და შინ გავეშურე. მომაგონდა, რომ ძროხებს, რომელთაც ვეძებდი, შეეძლოთ მეორე გზით დაბრუნებულიყვნენ და შენს ქართაში ამოეყოთ თავი. აზრად მომივიდა, რომ მათთვის, მგონი, უფრო უშიშარი იქნებოდა ავაზას გვერდით, ვიდრე შენს ქართაში.

სანამ საბარგო მანქანა წერილებს მოიტანდა, რამდენმეჯერ გავიმეორე ჩემი ნაამბობი. მიუხედავად იმისა, რომ მსმენელები არ მაწყვეტინებდნენ, ვამჩნევდი ისე მისმენდნენ, როგორც ბუშველდის ყველაზე უსინდისო ცრუპენტელა ქრისტიან ლემერს უსმენდნენ. ყველაზე უარესი ის იყო, რომ ამბის მოყოლის დროს, როგორც კი ჩემს გვერდით ავაზას წოლის ადგილამდე მივაღწიე, ქრისტიან ლემერმა, რომელიც ჩემდა საუბედუროდ აქ იყო, თვალი ჩამიკრა, ვითომ უნდოდა ეთქვა, ჩვენ ერთმანეთის გაგვეგება და შეგვიძლია ჩვენ საერთო ენაზე ილაპარაკოო. მე ეს არ მეპიტნავა.

— ბიჭებო, — ვთქვი მე, — კარგად ვიცი, რასაც ფიქრობთ. ჩემი არ გჯერათ და თანაც არ გინდათ შეიმჩნიოთ.

— არა, ჩვენ გვჯერა შენი, — გამაწყვეტინა ქრისტიან ლემერმა, ბუშველდში უფრო საოცარი ამბები ხდება. აი, ერთხელ მე მყავდა ექვსადლიანი გველი. მას ჰანსს ეძახდნენ. ეს გველი ისე შემეჩვია, რომ ყველგან დამდევდა. კვირაობით საყდრამდე მაცილებდა, მაგრამ რადგან წირვა არაფრად ეპიტნავებოდა, ჩვეულებრივ ქუჩაში ხის ქვეშ მელოდებოდა. არ იფიქროთ, რომ ჰანსი ურწმუნო იყო. არა, მაგრამ ის მეტად მგრძნობიარე აღმოჩნდა და უხერხულად გრძნობდა თავს, როდესაც ქადაგი ედემის მაცდური გველის წყევლას დაიწყებდა. ჩემი გველი, შენ ავაზასავით როდი ეძებდა კუნელს. ის ახაყი არ იყო და ეკლნარით კმაყოფილდებოდა. ჰანსმა იცოდა, რომ ის მხოლოდ გველი იყო და ამიტომაც არ მედიდურობდა.

მე ყურადღება არ მივაქციე ქრისტიან ლემერის უგნურ ლაყბობას. მაგრამ ამ ლაპარაკის შემდეგ, ისევ ეჭვმა შემიპყრო. არსებობდა თუ არა სინამდვილეში ჩემი ავაზა? ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ ადამიანის ცხოვლად გადაქცევის საიდუმლოებით მოცული ისტორია რომ მოვიგონე, ვერას გზით ვერ დავაღწიე თავი აკვიატებულ აზრს, რომ მე რაღაც საოცარი ამბავი შემემთხვა.

შემდეგ საქმემ სხვა მიმართულება მიიღო. არ გასულა რამდენიმე დღე და უზარმაზარი ავაზა დაინახეს გზაზე ულელტეხილთან, ნიტვერდინის შარაზე და ტორფის ჭაობებთან მალოპოს ახლოს.

• •

პირველ ხანებში მხოლოდ დამცინოდნენ, როცა ავაზაზე ლაპარაკი ჩამოვარდებოდა. ამბობდნენ, იგი ნამდვილი ავაზა კი არ არის, არამედ შოლკ ლოურენსის სიზმრიდან მოვლინებული ცხოველიაო. იმასაც ამბობდნენ, თითქოს ეს ავაზა დვარსბერგში წასულიყოს ქრისტიან ლემერის ექვსადლიანი გველის — ჰანსის სანახავად.

მაგრამ, როცა ავაზას ნაკვალევი წყაროსთან და სხვა რამდენიმე ადგილას შეამჩნიეს, ხალხს უკვე ეჭვი აღარ ჰქონდა. უკვე ეშინოდათ მინდვრად გასვლა. დადგა შფოთიანი დღეები. ბევრი ცდილობდა მოეკლა ავაზა, უმეტესობა კი გაურბოდა მას. მაგრამ ავაზა ყოველთვის უვნებელი რჩებოდა. ასე თუ ისე, მე ის ხანდახან მებრალებოდა კიდეც და ვერ გამერკვია, თუ რა საოცარი შემთხვევა მოხდა, როცა ის კუნელის ჩრდილში ჩემს გვერდით მწოლარე მყნოსავდა.

მე გამახსენდა ბიბლიური თქმულება: დადგება დღე, ლომი ბატკნის გვერდით მოიკალათებსო, მაგრამ ამავე დროს მჯეროდა, რომ ყოველივე ეს ცხადად მოხდა. ყოველივე ამაში რაღაც ზებუნებრივი იყო.

მთელი ჩემი გონება მოცული იყო ავაზაზე ფიქრით. ჩემდა საუბედუროდ არ შემეძლო ჩემი აზრები ვისმესთვის გამეზიარებინა.

ახლა, მოგითხრობთ რა ამ ამბავს, ვშიშობ, რომ ისევე ჩამიკრავთ თვალს, როგორც მაშინ, ქრისტიან ლემერმა.

მაგრამ შემიძლია გავიმეორო, რომ ყოველივე ისე გიამბეთ, როგორც მოხდა. დანარჩენი კი მხოლოდ აფრიკამ იცის.

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ წაველი იმ ბილიკით, კუნელამდე რომ მივყავართ, მაგრამ ბალახზე აღარ წამოვწოლილვარ, რადგან ავაზა დავინახე სწორედ იმ ადგილას, ხის ჩრდილში იწვა და წინა თათები ძაღლურად გადაეჯვარედინებია. ახლა ის წყნარად იწვა.

შორიდან სისხლის ლაქა შევამჩნიე მის მკერდზე, სადაც ტყვია მოხვედროდა.

თარგმანი ს. აბულაძისა



# „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, რომელიც შედგენილია პროფ. ა. შანიძის ხელმძღვანელობით და ერთვის მისივე წინასიტყვაობა და გამოკვლევა.

სიმფონია ისეთი წიგნია, სადაც თავმოყრილია ყველა სიტყვა და ამავე დროს გათვალისწინებულია ამა თუ იმ სიტყვის ყოველგვარი ფორმა, რაც კი გვხვდება ნაწარმოებში, ნაჩვენებია ისიც, თუ რამდენჯერ, რა და რა ადგილას, როგორ კონტექსტში ნახმარი სიტყვა.

რა საჭიროა ამგვარი წიგნი, კერძოდ, რა მნიშვნელობა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიას?

ჯერ ერთი, სიმფონია ამჟღავნებს პოემის ლექსიკის მთელ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, ერთბაშად გვიჩვენებს, თუ რა სიტყვებს იცნობდა და იყენებდა ავტორი, რა ფორმით ხმარობდა მათ. ამა თუ იმ სიტყვის ხმარების ყველა მომენტის გათვალისწინება აადვილებს მისი მნიშვნელობის გარკვევასა და დაზუსტებას. სიმფონიის დახმარებით ადვილდება, აგრეთვე, პოემის ენის შედარება მისი ეპოქის სხვა ძეგლების ენასთან და მისი დამახასიათებელი თავისებურებების გამოყოფა. დასასრულ, მთელი რიგი ფორმების შედარება-შეპირისპირება საშუალებას იძლევა გასწორდეს და გარკვეული ნორმის მიხედვით გაიმართოს გადამწერთა მიერ დამახინჯებული ადგილები.

ეს რომ ასეა, კარგად ჩანს ა. შანიძის გამოკვლევის მიხედვითაც, რომელიც ამ წიგნს აქვს წამძღვარებული. როგორც ამ გამოკვლევაშია აღნიშნული, სიმფონიაზე მუშაობამ ავტორს საშუალება მისცა გამოემჟღავნებია პოემის მრავალი დამახინჯებული ადგილი და წარმოედგინა გასწორებანი, რომელთა რიცხვი ორასს აღემატება.

გასწორებანი სხვადასხვა ხასიათისაა: სიტყვა ერთგან ერთი ფორმითაა მოყვანილი, სხვაგან — სხვა ფორმით. საჭიროა ერთგვარი ფორმების გატარება შოთას დროინდელი ნორმების მიხედვითო, — შენიშნავს მკვლევარი. ხშირადაა დარღვეული შეთანხმება რიცხვში, აკლია ბრუნვის ნიშანი სახელს და პირისა — ზმნას, არეულია მცა და ცა ნაწილაკები, ჩავარდნილია არ ნაწილაკი და წინადადების აზრი სავსებით შეცვლილია და ა. შ.

მოვიყვანთ რამდენიმე საგულისხმო გასწორების ნიმუშს: „ვეფხისტყაოსნის“ ამჟამად დაკანონებულ ტექსტში 708-ე სტროფის მე-3 სტრიქონი ასე იკითხება:

„... დრო სიცოცხლისა ჩემისა **დღისითღა** ჩანს ნასამალი...“

„**დღისითღა** ჩანს“ ნიშნავს: მხოლოდ დღის სინათლეზე ჩანსო, რაც აშკარა შეუსაბამობაა, რადგან აქ რაიმე ნივთზე როდია ლაპარაკი, რომ დღისით ჩანდეს და ღამით კი არა. ეს ადგილი გასწორებულია 644-ე სტროფზე დაყრდნობით, სადაც მსგავსივე აზრია გამოთქმული:

„...ფრიდონს რა ესმა, ატირდა, ცრემლითა მოერწყო ველი.
მითხრა, თუ: ძმაო, **დღესითგან** ცუდ ჩემი ლხინი ყოველი...“

ამის მიხედვით ა. შანიძე ასე ასწორებს ზემოხსენებულ ტაეპს: —

„დრო სიცოცხლისა ჩემისა **დღესითგან** ჩანს ნასამალი“.

ე. ი. ჩემი სიცოცხლე დღეიდან, დ ღ ე ი ს შ ე მ დ ე გ, გამესამედებულიაო. ყოველგვარი გაუგებრობა იხსნება და აზრიც და ფრაზაც სავსებით გამართულია. უდაოა, პოემის მომავალ გამოცემებში ეს ადგილი ასე უნდა შესწორდეს.

ანდა ავიღოთ 398-ე სტროფი. ტარიელი ეუბნება ასმათს:

„... თუ რას სცნობ ჩემთვის, არა ვეჭვ მე შენგან **არ — დანამალსა**.“

გამოდის, რომ: თუ რამეს შეიტყობ ჩემთვის, არა მგონია, რომ შენგან არ დამალული, ე. ი. დაუმალავი იყოსო. პოემიდან კი ვიცით, რომ ტარიელი, პირიქით, მოელის — ასმათი თუ რამეს შეიტყობს, ყველაფერს გამოამჟღავნებსო. მაშასადამე, ტექსტში რაღაც შეუსაბამობაა. ამ შეუსაბამობას ბოლოს უღებს ა. შანიძის შესწორება, რომლის მიხედვითაც ტაეპი ასე უნდა წავიკითხოთ:

„...თუ რას სცნობ ჩემთვის არა ვეჭვ მე შენგან, **არ, დანამალსა**“...

ამგვარი გასწორების სიმართლიანობას ადასტურებს პოემის სხვა ადგილებიდან მოტანილი მთელი რიგი ანალოგიური ფორმები.

საერთოდ, **არ** ნაწილაკთან დაკავშირებული ბევრი შერყვნილი ადგილია გასწორებული გამოკვლევაში — მაგალითად, ასეთი:

„...სჯობს საყვარელსა მოყვარე რაზომცა დაუძაბუნდეს...“

გამოდის, თითქოს ისა სჯობია, საყვარელს მოყვარე რაც უფრო დაუძაბუნდება. როგორც ა. შანიძე შენიშნავს, „შოთას არ შეეძლო, აგრე ეთქვა. მან რაღაც სხვა თქვა და ეს მისი ნათქვამი დაბნელებულა გადამწერლების ხელში. ჩვენ მოვალენი ვართ შოთას ნათქვამი აღვადგინოთ. ამას დასჭირდება სულ მცირეოდენი ოპერაცია:

„სჯობს, საყვარელსა მოყვარე **რაზომც** არ დაუძაბუნდეს“.

ასევეა: „სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა“. ა. შანიძის აზრით, უნდა იყოს: „მაგა სამხრას **არ-ლევასა**“ და ეს აზრი უსათუოდ გასაზიარებელია. ამგვარ გასწორებათა რიცხვი დიდია.

რასაკვირველია, ყველა გასწორება თანაბარი მნიშვნელობისა არ არის, გვხვდება საეჭვო და არაუცილებელი გასწორებანიც (87, 4; 318, 4; 400,3; 440, 3). მაგალითად: 318-ე სტროფის მე-4 სტრიქონთან დაკავშირებით შენიშნულია, რომ „**მეფემ ბრძანა**“ — ასეთი შეკვეცილი ფორმა მოთხრობითისა „ვეფხისტყაოსანში“ საერთოდ არ გვხვდება. ამიტომ ხომ არ იყო თავდაპირველად: „**მეფე ბრძანებს**.“ ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რომ მოთხრობითის ასეთი შეკვეცილი ფორმით ხმარების შემთხვევა „ვეფხისტყაოსანში“ სხვაც არის: მეორეც, — ამგვარი შემთხვევების რიცხვი კიდევ უფრო იზრდება თვით ა. შანიძისვე გასწორებათა შედეგად (იხ. შესწორებანი 389, 3 და 1000, 1 ტაეპებში).

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიამ გამოცემის პროცესშივე გამოიღო სასარგებლო ნაყოფი და პოემის მრავალი დამახინჯებული ადგილის გასწორებას დაედო საფუძვლად. უეჭველია, რომ მომავალში იგი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერული შესწავლის საქმეს.

ზ. ჭუმბურიძე



სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ლიტერატურის განყოფილება. სტუდენტები ათვალიერებენ ახალმიღებულ ლიტერატურას (მარცხნიდან მარჯვნივ) — ზ. ბორსაველი, დ. ჩხიკვაძე და ნ. ქურდიანი, გამყიდველი ც. საგათელოვა.

# უცხოური წიგნებით ვაჭრობა

ძველად უცხო ენების მცოდნეთა რიცხვი საქართველოში ათეულებით განისაზღვრებოდა. ესენი იყვნენ გერმანული და ფრანგული ენის მასწავლებლები და პრივილეგიური ოჯახების შვილები. ახლა უცხო ენის მცოდნეთა რაოდენობა ვაცილებით დიდია. მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება. ჩვენმა ახალგაზრდებმა კარგად იციან ინგლისური, ფრანგული, გერმანული და აღმოსავლეთის ხალხთა ენები. ასეთ ცოდნას ისინი იძენენ უცხო ენათა ინსტიტუტსა და სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ეს მათ ეხმარებათ, უფრო ღრმად შეისწავლონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, დედანში გაეცნონ მხატვრული ლიტერატურის მსოფლიო შედევრებს.

დიდია ინტერესი დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა ცხოვრების გაცნობისა. ჩვენი მკითხველი სისტემატურად ათვალიერებს სახალხო რესპუბლიკებიდან მიღებულ ჟურნალ-გაზეთებს, ამ ქვეყნებში გამოცემულ ლიტერატურას.

„სოიუზპეჩატის“ კიოსკებში რიგები დგება, როცა ამ ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებს იღებენ.

საჯარო ბიბლიოთეკაში სისტემატურად ეწყობა გამოფენა ჟურნალ-გაზეთებისა, რომლებიც გამოდის სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში.

„საქწიგნის“ № 5 მაღაზიაში ყოველდღიურად ნახავთ სტუდენტებს, მეცნიერ მუშაკებს. აქ სპეციალური განყოფილებაა, სადაც იყიდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გამოცემული წიგნები.

უცხო ენათა ინსტიტუტი ხომ სისტემატურად იღებს მისთვის საჭირო წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. ამ ინსტიტუტის ბიბლიოთეკა 40 ათასს ტომს შეიცავს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებზე ხელისმომწერთა რიცხვი 10 ათასამდე აღწევს.



სასტუმრო „ინტურისტის“ ფოიეში.

კიოსკში იყიდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ჟურნალ-გაზეთები. პოლონელი ინჟინრები (მარცხნიდან მარჯვნივ) იანუშ როშკოვსკი და ისრიფ კრუუს ათვალიერებენ პოლონეთიდან მოსულ ახალ ჟურნალს.

I კურსის სტუდენტები უცხო ენათა ინსტიტუტის გერმანული ენის კაბინეტში კითხულობენ ახალ უცხოურ ჟურნალ-გაზეთებს.



ფოტო ფ. კრიმსკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩინური სიბრძნეები

ჭკვიანი ადამიანი ყველაფერს თავის თავისაგან მოითხოვს, უგუნური — სხვისაგან.

ბევრი ადამიანის თვისებაა სურვილი — იყოს სხვების მასწავლებელი, მაშინ, როცა თვითონ ჯერ კიდევ მოსწავლედ ყოფნა შეჰფერის.

ცხოვრება სკოლაა, სადაც მარცხი გამარჯვებაზე უკეთესი მასწავლებელია.

უბრალოება ყოველთვის მიმზიდველია — აშიტომაა მიმზიდველი ბავშვები და ცხოველები.

მოიქეცი დღისით ისე, რომ ღამით მშვიდად გეძინოს, ახალგაზრდობაში კი ისე, რომ მოხუცებულობა მშვიდი გქონდეს.

ვინც ზურგსუკან გლანძღავს, მას ეშინია შენი, ვინც პირში გაქებს, მას ეზიზღები.

# უცხოური იუმორი

როცა ლონდონის სასამართლოში ბრალდებულს ჰკითხეს, თუ რატომ ესროლა მან ნიანგებს ქალაქის ზოოპარკში ცრემლსადენი ბომბი, მან უპასუხა: „მინდოდა მენახა ნიანგის ცრემლებიო“.

---

კენტერბერში სამხედრო სამსახურში გაწვევის საპასუხოდ ერთმა ახალგაზრდა ვაჟმა წარადგინა პირადი საბუთი, რომელშიც ეწერა: „19 წლის, დაქორწინებული, შვიდი შვილის მამა“. გაოცებული მოხელის კითხვაზე მან უპასუხა: „მე ცოლად შევირთე ქვრივი, ექვსი შვილის დედა. მეშვიდე ბავშვი კი ჩემი შვილია“.

---

საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში ასაფლავებდნენ გარდაცვლილ როგერ დენტონს. მოულოდნელად გაისმა მისი სიმღერის ხმა. ამან საშინელი თავზარი დასცა დაკრძალვაზე მოსულ ხალხს. გარდაცვლილი ასრულებდა სამგლოვიარო სიმღერებს. შემდეგში გამოირკვა, რომ როგერი რამდენიმე კვირით ადრე გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და ფირფიტაზე გადაიღო თავისი საყვარელი საეკლესიო საგალობლები. ანდერძად კი დატოვა, რომ იგი მისი დაკრძალვის დროს შეესრულებინათ.

---

მანილას იპოდრომზე (ფილიპინები) დაიჭირეს როი ბარდონი იმ დროს, როცა ის ქალს ჩანთას აცლიდა. მან სცადა თავის გამართლება და თქვა, შიგ სატრფიალო ბარათის ჩადება მინდოდაო. ბარათი მართლაც ხელში ეკავა. მაგრამ გაჩხრეკის შემდეგ აღმოაჩნდა 18 საფულე, რომელთა არსებობა მან ვერაფრით ვერ ახსნა.

---

მელბურნში რალფ კროგერი პასუხისგებაში იქნა მიცემული, რადგან მან კბილის პროტეზში ყალბი ბანკნოტი გადაიხადა. ერთადერთ გასამართლებელ საბუთად მან ის წამოაყენა, რომ არც კბილები ყოფილან ნამდვილიო.

თარგმნა გერმანულიდან
**მ. კოდუამ**



სიძველეთა მუზეუმში.

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი



ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. ცეკვა. 2. კუნძული დიდ ოკეანეში. 3. დიდი ფორმატის წიგნი. 4. უწესრიგობა, არევ-დარევა. 7. შეიარაღებული ამალა. 8. არგონავტების წინამძღოლი. 9. მეტყველების თავისებურება, წარმოთქმა. 11. ღონიერი ადამიანი. 13. ინდურ იგავარაკთა კრებული. 15. მელიორაციის სპეციალისტი. 16. დასაკრძალავი ეტლი. 17. ზარბაზნის ნაწილი. 18. გზის მაჩვენებელი წარწერა. 19. მორთულობა. 21. მუსიკალური ნაწარმოების ტემპის შეცვლა. 22. ხე. 23. ფრინველი. 29. მუსიკალური ნაწარმოების ნელა შესრულება. 30. ცხოველი. 32. ქართული ნამცხვარი. 35. ტროპიკული მცენარე. 36. ლექსთა წყობის ფორმა. 38. დრამატული ნაწარმოების სახე. 39. სამი ნაწარმოების ერთად დაკავშირება. 41. ამერიკული ვეფხვი. 42. სამხედრო შენაერთი.

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

5. მდინარე სსრ კავშირში. 6. თანავარსკვლავედი. 7. მასალა შენობისათვის. 8. მიმართულება ფილოსოფიაში. 12. მითოლოგიური ცალთვალა დევ-გმირი. 14. ფოსტით გასაგზავნი ნივთი. 16. ცეკვა. 19. ტბა ჩინეთში. 20. სახელმწიფო ევროპაში. 22. შველის შვილი. 24. შხამიანი გველის ჯიში ბრაზილიაში. 25. შიში ყოველგვარი განახლებისა. 26. დასაყრდენი. 27. ფრანგი კომპოზიტორი 28. ფიზიკური პოემა. 31. სინამდვილის სწორი ასახვა. 33. სახელმწიფო აზიაში. 34. ოთახის ნაწილი. 36. მისწრაფება. 37. უმაღლესი სასწავლებელი. 40. მთების ჯგუფი აზიაში. 42. ინგლისელი მწერალი. 43. ვიტამინების ნაკლებობით დაავადება. 44. პლანეტა ურანის თანამგზავრი. 45. ისტორიული ძეგლი. 46. ქართველთა ძველი სახელმწიფო.

## ჟურნალ „დროშის“ № 1-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

1. ვერხოიანსკი. 5. ყრუ. 6. იქევსკი. 7. ასი. 9. მზე. 11. სეული. 13. გნოლი. 15. სკა. 17. ოდა. 19. ორიოლი. 21. ბრიუგე. 23. ირემი. 24. იმედი. 27. რიონი. 28. ნარდი. 30. ოტელო. 32. იარდი. 34. იზოლდა. 35. მანილა. 36. ოკა. 40. ომი. 41. ალტაი. 42. იუდეა. 43. ქვა. 44. ლია. 46. ნალჩიკი. 47. ომი. 48. ეფემერიდები.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. ვაუ. 2. როიალი. 3. საიანი. 4. ინა. 8. უფა. 10. რკო. 11. სახლი. 12. იმიმი. 13. გველი. 14. ინარი. 15. სკოვოროდინო. 16. აკაკი 18. აზერბაიჯანი. 20. ივანოვო. 22. ურუგვაი. 25. ექო. 26. უმი. 29. ციცქა. 30. ოდესა. 31. ოზონი. 32. იანძი. 33. იალტა. 37. ალი. 38. იაუნდე. 39. იუბილე. 40. ორი. 45. არე. 47. ობი.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. ხააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ზ. ლეჟავამ

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ.
ტელეფონები: რედაქტორის—3-52-69, პ/მგ. მდივნის—3-95-38.

| ფასი 8 მან. |

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/II-57 წ. გამომც. № 12. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 26 უე 01215

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

[illegible] კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის ღამე თბილისში.

ფოტო ფ. კრიმსკისა

5·6/151 6·48/38 5·2/157
ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. სევეროვი
სანაპიროს პეიზაჟი.